გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N5 (9185) | 20 თებერვალი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

2

ბარათების დარიგება დაიწყო

არჩევნები საოლქო საარჩევნო კომისიაში

2

სამწლიან პროგრამას ერთი წელი დაემატა

4

რეაბილიტაცია ჰქონია, თორემ...

„მერჯსი" ყვითელი მისიით ივნითში

3

5

“კონსერვატორების” რიგგარეშე ყრილობაზე

რგფ-ის წილი მოწონებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში

რაზე არ უპასუხეს ოპოზიციას

3

3

საცხოვრებელ კორპუსებში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება დაიწყო

შმაგი თოლუა საქართველოს ჩემპიონი გახდა

9

რეფორმის წამყვანი მასწავლებლია

6

“ლადის” ერთი წლის თავზე

არჩევნები საოლქო საარჩევნო კომისიაში

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის ოფისში 17 თებერვალს ახლად არჩეული კომისიის წევრები შეიკრიბნენ და პირველი სხდომა ჩაატარეს, რომელსაც ღია კენჭისყრით კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის თავმჯდომარის მოადგილე უნდა აერჩია.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის დეკემბერში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი ორ ეტაპად გამოცხადდა.

4 თებერვალს ცესკომ 4 ვაკანტურ ადგილზე ხმათა უმრავლესობით აირჩია ნანა იმნაძე, მარიკა ბოკელავაძე, ნინო ვაშაკიძე, კობა სიხარულიძე. სოფიო დარჯანიას 2018 წლამდე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება შეუნარჩუნდა.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორი სამტრედიის მუნიციპალიტეტში ნინო შარაშენიძე.

კომისიის სხდომა კომისიის უხუცესმა წევრმა, ნანა იმნაძემ გახსნა. დაამტკიცეს დღის წესრიგი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და კომისიის მდივნის არჩევა.

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ნანა იმნაძე, თავმჯდომარის მოადგილედ _ კობა სიხარულიძე, კომისიის მდივნად _ მარიკა ბოკელავაძე. ახალად არჩეულმა კომისიის წევრებმა ერთმანეთს მიულოცეს, წარმატებები უსურვეს და შეხვედრის ბოლოს სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღეს.

ნინო ნანიტაშვილი

ბარათების დარიგება დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო ბარათები სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა 16 თებერვალს ჩამოიტანეს. გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგეობის საქტო დარბაზში შედგა. 11 743 ბარათი, რომლითაც ჩვენს მუნიციპალიტეტში სამეურნეო სავარგულების დახვნა უნდა განხორციელდეს, ქალაქის, დაბისა და სოფლების მოსახლეობაზე განაწილდება.

მამუკა კვანტალიანმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა გამგებლის წარმომადგენლები სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლის სამტრედიაში ჩამოსვლის შესახებ ინფორმირებულები წინა დღით, ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე გახადა.

16 თებერვალს 11 საათზე ბარათები უკვე სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში იყო და იმავე დღეს ქალაქის დაბისა და სოფლების მიხედვით განაწილება მოხდა.

საქტო დარბაზში ყველა წარმომადგენელი გამოცხადდა, თითოეული მათგანი გაეცნო ინსტრუქციას, შეავსო ანკეტა.

სოფელ ბაშში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის, რამაზ კაშიას განმარტებით, მართალია, საწვავის ფასი სერიოზულად გაიაფდა, ბაშელები მაინც დიდი სიხარულით ელოდებიან ბარათების დარიგებას. უფასო ხვნის პროექტი მის სოფელში წარმატებით მუშაობს: "დღეს ჩემს თანასოფლელებს გავახარებ. შარშან ბაშში, დაახლოებით, 900 ბარათი განაწილდა, წელსაც იგივე რაოდენობა გვაქვს, მოსახლეობა დიდი იმედით ელოდება ხვნის პროცესის ჩატარებას. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ აღმოსავლეთის ბრიგადის მისამართით, რომელმაც შარშან, ბაშის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები უხარვეზოდ, ღრმად დახვნა. ბაშის ტერიტორიაზე სულ 900 ჰექტარი ფართობია, რაც შეეხება სახნავ ბარათებს, 600 ჰექტარზე ჩამოდის".

ბარათების მიღების პროცესში ტრადიციული აქტიურობით გამოირჩეოდა სოფიო კვაჩეიშვილი. გამგებლის წარმომადგენელი მელაურის თემში, მზად არის, თუნდაც, დასვენების დღეებში დაიტვირთოს, ოღონდ, თანასოფლელებს სოციალური ყოფა შეუმსუბუქოს: "ზედიზედ დღეებში კი არა, დღეში ორჯერ-სამჯერ გამოვალ ქალაქში და რა სიკეთესაც გამატანენ მელაურლებისთვის, დაუზარებლად წავიღებ. ნეტავ, შემეძლოს ჩემი ხალხისთვის უფრო მეტი კარგი საქმის გაკეთება და თავს არ დავზოგავ. შარშან 545 ბარათი ჩამოვიდა მელაურელების სახელზე. წელს ეს ციფრი 600-მდე გაიზარდა".

ბარათების რაოდენობის მოსალოდნელი გაზრდის შესახებ საუბრობს მამუკა კვანტალიანიც. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ინფორმაციით: "16 თებერვლისთვის 11 743 ბარათია ჩამოსული, თუმცა, ციფრი უსათუოდ გაიზრდება, გამომდინარე იქიდან, რომ პრობლემატური სიები გასწორებულია და თებერვლის ბოლოს გადაცემა შესაბამის სამსახურებს ეს ბარათების რაოდენობას გარანტირებულად გაზრდის".

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გასანაწილებელი ბარათების ყველაზე დიდი რაოდენობა, 2919 ბარათი ქალაქის ტერიტორიაზე მოდის. მას უკან გომი მოსდევს, შემდეგი დიდი ჯიხაიშია.

სამწლიან პროგრამას ერთი წელი დაემატა

საგაზაფხულო ხვნის თემა იყო აქტუალური მიმდინარე კვირის ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა მამუკა კვანტალიანი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა თათბირის მონაწილეებს აუწყა, პროგრამა, რომელიც სამწლიანი იყო და მცირემიწიან ფერმერთა დახმარებას ითვალისწინებდა, 2016 წელშიც განხორციელდება: "წინასწარი მზადების პროცესში მოხდა სიების ფორმირება. შარშან 19 800-მდე სახნავი და აგრარული ბარათი ჩამოვიდა ჩვენს მუნიციპალიტეტში. წელს რამდენიმე დაემატა და არ არის გამორიცხული, ციფრი კვლავ შეიცვალოს. შპს "მექანიზატორთან" ერთად შევქმენით ხვნა-თესვის გრაფიკი. სადაც მაღლობია, იქ უკვე შეიძლება მიწა დაიხნას".

15 თებერვლის ტრადიციულ თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებელს თანასოფლელთა გასაჭირის შესახებ უამბო ვაჟა კოხრეიძემ. იანეთის თემში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელში საძოვრის არქონას უჩივის და კიდევ კარიერს, რომელიც სათავისოდ "შსოფლიო საქმეს" იკეთებს, იანეთს კი აზარალებს: "კარიერმა სოფელი იანეთი ძალიან დაზარალა. საყანე ფართობში მისასვლელი გზა გვქონდა, რომელიც 2003 წელს ჩემი იქ გამგებლობის პერიოდში გავაკეთეთ. კარიერმა მდინარე გუბისწყალს "ზნე-ჩვეულება" შეუცვალა. ადიდების დროს ჩამორეცხა და წაიღო ნაპირი, რომელზეც საყანე ფართობში გადიოდა გზა. თან წაიღო ბეტონის ორი მილი და დამარხა გუბისწყალში. გამგეობას ვთხოვთ, მოგვაშველოს ტექნიკა, რომლითაც მილებს ამოვიღებთ და საყანე ფართობში მისასვლელ ახალ, ალტერნატიულ გზას გავაკეთებთ".

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს განმარტება მისცა ნოე ივანიაძემ. სამსახურის უფროსმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც არ არის დარეგისტრირებული არც სახელმწიფოს, არც მუნიციპალურ საკუთრებაში, ამ მიწების მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირება მიმდინარეობს. მინდა ვუპასუხო თათბირზე დასმულ კითხვას, ადრინდელ დადებულ იჯარას, რომელსაც ვადა გასდის, ასეთ შემთხვევაში მეიჯარე როგორ უნდა მოიქცეს. ასეთ დროს თუ მიწა არის დარეგისტრირებული, თავდაპირველად ვარეგისტრირებთ და შემდეგ გაიჯარებაზე ვაცხადებთ აუქციონს".

ნინო ნანიტაშვილი

რგფ-ის წილი მოწონებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში
რაზე არ უპასუხეს ოპოზიციას

თეა ბაბუნაშვილი

ეს საკრებულოს ბოლო სხდომის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ. საკანონმდებლო ორგანომ მის მიერ 2015 წლის 22 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილება შეიტანა. იგი მთავრობის გადაწყვეტილებით გახლდათ განპირობებული. დადგენილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტს ეხებოდა. იგი მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში დამატებამ გამოიწვია. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 გადაწყვეტილებით, რგფ-ის პროგრამით 2 369 840 ლარია სამტრედიისთვის გამოყოფილი და გაწერილი ცალკეული პროექტის მიხედვით. ეს კი ნიშნავს, რომ ეწრის თემში, სოფელ კეჭინარიდან სოფელ გვიმრალას მიმართულებით ეწრის ცენტრალურ გზამდე ასფალტბეტონის საფარის დასაგებად 134 479 ლარი, დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის უბანში გზის დასაგებად კი 95 538 ლარი გამოიყო. ღანირის თემის სოფელ ჭაგანში, ქუთაისი-ხონი-სამტრედიის ავტომაგისტრალიდან სოფლის ცენტრამდე და ღანირის თემში, სოფელ ღანირის საჯარო სკოლიდან ჭაგნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გავლით, ე.წ. ''ოქონის'' სასაფლაომდე ასფალტბეტონის საფარი 369 090 ლარად დაიგება. ნაბაკევის თემის სოფლებში, ჩხენიშსა და ნინუაკუთხეში, ე.წ. ''ნინუების უბანში'' გზის საფარის მოწესრიგება 250 081 ლარი დაჯდება. სოფელ ბაშში, ქვედა ბაშის სასაფლაოდან მგზავრთა მოსაცდელამდე 142 497, მელაურის თემში, სოფელ მიწაბოგირაში კი 137 326 ლარი დასჭირდება ამ საქმეს. დაბა კულაშში რუსთაველის ქუჩაზე ამ სამუშაოსთვის 71 757 ლარი დაიხარჯება. გომის თემის სოფელ კორმაღალში გზის დასაგებად 161 524 ლარია გამოყოფილი.

რაც შეეხება უშუალოდ ქალაქს, სამტრედიაში, რესპუბლიკის ქუჩაზე, მე-3 საჯარო სკოლიდან ''ვისოლის'' ავტოგასამართ სადგურამდე, რესპუბლიკის მე-2 და მე-4 ჩიხებში, თაბუკაშვილისა და თავისუფლების ქუჩებზე საავტომობილო გზების სამუშაოები 353 781 ლარით დაფინანსდება. რესპუბლიკის ქუჩაზე გზის სწორედ იმ მონაკვეთზეა საუბარი, მსოფლიო ბანკის პროგრამით მისი დიდი ნაწილის დაგების შემდეგ, ეს მოუწესრიგებელი რამდენიმე მეტრი მძღოლების გაბრაზების საბაბი ხშირად რომ ხდებოდა. ''ნახალოვკაში'' კი 325 539 ლარად ბაუსკას, ჩოლოყაშვილის, ბახტაძისა და რიონის ქუჩები მოწესრიგდება. ასევე ხაზგასასმელია რიონის ქუჩაზე გათვალისწინებული სამუშაოები, რადგან თავის დროზე ვერც ეს ქუჩა დაიგო ბოლომდე, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გააპროტესტა. მარჯანიშვილის, ნინუას, ოდილავაძის ქუჩებსა და ნიკურაძის ჩიხში გზის მოწესრიგება 103 710 ლარი დაჯდება. ლეონიძის, კალაძის და ფანჯიკიძის ქუჩებზე ასფალტ-ბეტონის დაგება კი 224 518 ლარი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი განმარტავს, რომ ''ეს გახლავთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი წარდგენილი სამუშაოთა ნუსხა, რომელიც აღნიშნულმა სამინისტრომ განხილვის შემდეგ მთავრობას გადაუგზავნა. მოწონებული იქნა მთავრობის სხდომაზეც. შემდეგ კი, რა თქმა უნდა, რგფ-ის დაფინანსებაც მოჰყვა.'' საკრებულოს ოპოზიციურ სპექტრს, კერძოდ, ავთანდილ თადუმაძეს რამდენიმე კითხვა ჰქონდა საკითხთან დაკავშირებით. კომენტარში კი მან განაცხადა: ''სამწუხაროდ, გარკვეულწილად გამგეობის მხრიდან ხდება საკრებულოს იგნორირება. საკითხების უმრავლესობა მოუმზადებელი შემოდის. ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით კითხვები გაგვიჩნდა, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო. გვიპასუხეს, რომ ეს საკითხები უკვე ზემდგომ ინსტანციებში გადაგზავნილია და ვერაფერს შევცვლითო. თუ უკვე გაგზავნილია, რა აზრი აქვს განხილვას. ეს ერთი, და მეორეც, მსოფლიოში ბარელი ნავთობის ფასის შემცირებამ ნავთობპროდუქტებზეც მოახდინა გავლენა, ეს ცხადია. ასფალტბეტონის ფასმაც ბუნებრივია, იკლო. საინტერესოა, არის თუ არა ეს გათვალისწინებული იმ თანხებში, რაც პროექტის სახით წარმოდგენილ სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს. გარდა ამისა, განსახილველად გამოტანილ საკითხში სახეზე იყო მხოლოდ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო თანხა, ისე რომ არ გახლდათ მითითებული, რა მოცულობის გზის დასაგებად დაიხარჯება იგი. ალბათ, საკრებულოს არც ერთმა წევრმა, მათ შორის არც მე, არ ვიცით, რამდენი კილომეტრი გზა დაიგება წელს სამტრედიაში. როცა ამ თემებით დავინტერესდი, მიპასუხეს, ჰკითხეთ ინფრასტრუქტურის სამსახურს. ვერავის ვერაფერს ვერ ვკითხავ, მე საკრებულოს წევრი ვარ და პასუხს ველოდები მისგან, ვისაც საკითხი გამოაქვს სხდომაზე, ან საკრებულოს თავმჯდომარის, ან მისი მოადგილისგან. ვიცით, რომ ანალოგიური პრობლემებია ქობულეთში, უკვე საქმე პროკურატურას გადაეცა, ცნობილია რა ხდება გორში, ბოლნისში. ამიტომ ცალკეულ საკითხებზე უკეთ უნდა ვიმუშაოთ. ყოველი მათგანი კომისიებზე თუ გამოვა, მეტი საქმე გაკეთდება. არაერთ პროექტზე მუშაობა, რომელიც ახლა ხორციელდება, 2013 წელს უკვე დაწყებული იყო.''

აქვე იმაზეც, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოების ნუსხა, რომელიც სამტრედიიდან ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და შემდეგ ქვეყნის მთავრობას წარედგინა, ყველა ინსტანციაში განსაკუთრებულად მოიწონეს.

საცხოვრებელ კორპუსებში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება დაიწყო

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატ ზაზა ადეიშვილთან ერთად ჭავჭავაძის ქუჩას ეწვია, სადაც მე-4 კორპუსის მიმდებარედ მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობდა. გამგებლის თქმით, თითქმის ყველა კორპუსის მახლობლად სავალალო მდგომარეობაა. მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები. ''ჯერ იგებოდა ასფალტი და მერე იწყებოდა მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება: უკულმა რომ არ გავაკეთოთ საქმე, ჩვენ ჯერ ვაწესრიგებთ კომუნიკაციებს და შემდეგ დავაგებთ ასფალტის საფარს. ამ კორპუსის მოსახლეობა შემოვიდა ჩვენს მუნიციპალიტეტში თხოვნით, გადაგვეჭრა მათი პრობლემა. არა მარტო ამ კორპუსთან, სამტრედიაში ყველა კორპუსთან მსგავსი მდგომარეობაა. გაერთიანებული წყლის კომპანია ატარებს ამ სამუშაოებს და თავად სწევს ხარჯებს. ჩვენ მივმართეთ ამ დამოუკიდებელ ორგანიზაციას. ამ კორპუსის შემდეგ სხვა კორპუსების რიგი დადგება''.

ზაზა ადეიშვილს მივმართეთ კითხვით, რამდენად მნიშვნელოვანი სამუშაოა გაწეული და რას ჰპირდებიან სხვა კორპუსის მოსახლეობას, რომელთაც ანალოგიური პრობლემები აწუხებთ:

''ყველა ასეთი სამუშაო არის მნიშვნელოვანი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქალაქის ტერიტორიის მოსახლეობის ცხოვრებას გააუმჯობესებს. ასეთი პრობლემები, რომლებიც მიწისქვედა კომუნიკაციებს – წყალგაყვანილობას და კანალიზაციას ეხება, ძალიან ბევრი საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ გვაქვს და ძალიან ბევრი პრობლემა ასფალტბეტონის საფარის ქვეშ ჩაიმარხა. ჩვენდა სამწუხაროდ, გვიწევს მათი მოგვარება, კარგია რომ ეს კეთდება, ადგილობრივი მოსახლეობისაგან მოვისმინეთ სამადლობელი სიტყვები და მიხარია, მჯერა ეტაპობრივად, ძალიან ბევრ მტკივნეულ პრობლემას, ამ პროფილის იქნება თუ სხვა, ერთობლივად გადავწყვეტთ''.

ჯუმბერ მეგენეიშვილი, მე-4 კორპუსის მკვიდრი: ''მადლობა ხელისუფლების წარმომადგენლებს, მიხარია, რომ ჩვენი კორპუსის ქვეშ წყალგაყვანილობის სისტემა მოწესრიგდა''.

„მერქსი" კეთილი მისიით იანეთში

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანი იანეთში, იმ დროს მივიდნენ, როცა იქ ქარსაფარი ზოლი კეთდებოდა.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში სამუშაოებს ასრულებს შპს ''მერქსი'', რომლის ხელმძღვანელი გია გაბიძაშვილია.

კიპარისები და ნეკერჩხლები 2000 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობზე დაირგო, ახალგაზრდა ნერგები სამაგრზე მუნიციპალიტეტის თავკაცებმაც მიამაგრეს. იანეთში მისულებს სამუშაო ფორმაში დაგვხვდა იანეთის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა კოხრეიძე.

როგორც ადგილობრივებისგან შევიტყვეთ, სწორედ პაატა კოხრეიძემ დარაზმა იანეთლები, ახალგაზრდები და 100 ჰექტრიანი ფართობის შემორაგვითი სამუშაოები ადგილობრივი ძალებით შეასრულეს, რისთვისაც პაატა კოხრეიძემ იმ დღეს მუნიციპალიტეტის თავკაცთაგან მადლობა დაიმსახურა.

– კარგი რამ გაკეთდა საყანე ფართობი ეროზიისაგან, ქარისაგან დაცული იქნება, მსგავსი პროექტი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც განხორციელდება. – განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' შპს `მერქსის` ხელმძღვანელმა გია გაბიძაშვილმა.

– უდავოდ კმაყოფილნი ვართ, აუცილებელია ადგილობრივმა მოსახლეობამაც იზრუნონ ნერგების მოვლაზე, გავა დრო და ეს ადგილი ერთ-ერთი უმშვენიერესი იქნება. მისასალმებელია, რომ პროექტი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც დატოვებს კეთილმყოფელ კვალს. – აღნიშნეს მუნიციპალიტეტის თავკაცებმა.

თებერვლის 17-ში გახლდით იანეთში, მიუხედავად იმისა, რომ კალენდარული ზაფხული არ დამდგარა, საოცრად ცხელოდა, პაწაწინა ნერგებს ჯერ არ ძალუძთ შვება მოჰგვარონ დასიცხულთ. არაუშავს, ცოტაც და ნერგები ტანს აიყრიან, ტოტებს გაშლიან და ჩრდილთან ერთად ბევრ სიკეთეს მოუტანენ იანეთლებს.

რეაბილიტაცია ჰქვია, თორემ...

თეა ბაბუნაშვილი

... ფაქტობრივად, ახალი გზა იგება! ეს ტოლებში, ვაზისუბანთან დამაკავშირებელ გზის მონაკვეთზეა საუბარი. მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობით ხორციელდება, დაახლოებით, 4,5 კილომეტრის გზის აღდგენა. ეს პროექტი მესამე ეტაპით გათვალისწინებული 22 პროექტის ათეულში მოხვდა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი გია სოფაძე ტოლებში მოსახლეობასთან შეხვედრისას აღნიშნავდა, რეაბილიტაცია ჰქვია, თორემ, ფაქტობრივად, ახალი გზა იგება. სრულად იცვლება გზის ვაკისი, მოიხრეშება და შემდეგ ასფალტის საფარი გადაეგება მას. "საქმე ის არის, რომ პროექტს ახლავს გარემოს დაცვითი მართვის გეგმა. მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს გარემოს დაცვის კონტროლში მშენებლობის დროს. ჩამოვედით ადგილობრივებთან სამოქალაქო კონტროლის განხორციელებისთვის საჭირო თემებზე სასაუბროდ. ერთ-ერთი სეგმენტი არის ის, რომ უნდა გავუფრთხილდეთ ნიადაგს და განსაკუთრებით მის ჰუმუსოვან ფენას, სადაც არის სიცოცხლე და ივვებება მცენარეები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთლიანად მოიხსნება ეს ფენა და დასაწყობდება ისეთ ადგილას, სადაც არც ქარი შეეხება და არც წვიმა. როცა დასრულდება გზის მშენებლობა, იგი კვლავ დაიგება. კერძო მოსახლესთან დასაწყობდება თუ სხვაგან, კონტრაქტორის და უშუალოდ პიროვნების გადასაწყვეტია." _ ამბობს გია სოფაძე.

გარდა ამისა, გზის მშენებლობაზე 70 პროცენტი ადგილობრივები დასაქმდებიან, მით უმეტეს, რომ, როგორც აღმოჩნდა, აქაურებს სისტემაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ.

ამ გზის რეაბილიტაციაზე აქცენტის გაკეთება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მაჟორიტარ გიორგი კახიანის დიდი დამსახურებაცაა. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ აღნიშნა, რომ "ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მთავრობაში, ბუნებრივია, ხშირად წარვადგენთ პროექტებს სხვადასხვა სამუშაოებზე. აქცენტი ამ მონაკვეთზე იმიტომაც გავაკეთეთ, რომ იგი ორი მაგისტრალური გზის ნაწილია, ერთი ლანჩხუთის და მეორეც ჩოხატაურის მიმართულების მაგისტრალებისა სამტრედიიდან. ტოლები-ვაზისუბანი-ნოღის მოსახლეობის უდიდესი პრობლემა კარგა ხანია იყო გზა, რომელზეც მალე აღდგენითი სამუშაოები დაიწყება. წარდგენილი გვქონდა შიგა გზების აღდგენაც, მაგრამ მსოფლიო ბანკი მაგისტრალურ მონაკვეთებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს."

"40 წელია ელოდება აქაური მოსახლეობა ამ გზის აღდგენას და მშენებლებთან არანაირი პრეტენზია არ ექნებათ." _ აღნიშნა სოფლის მაჟორიტარმა ილია მჟავიამ შეხვედრაზე. მერე კი დასძინა: "ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დეპუტატობის დროს გახდა შესაძლებელი მისი რეაბილიტაცია. სოფელს დიდი ხნის ოცნება აუსრულდა."

თემში გამგებლის წარმომადგენელი ალექსანდრე ბოცვაძე კი იმ არაერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე საუბრობს, ბოლო დროს ტოლების თემში რომ განხორციელდა: "გზა, წყალი, ხიდი უკვე მოგვარებულ საკითხთა ნუსხაშია. სოციალური პრობლემები აქვს მოსახლეობას, თორემ ინფრასტრუქტურის კუთხით ბევრი რამ კალაპოტში დგება."

ტოლები-ვაზისუბანი-ნოღის დამაკავშირებელი გზის სამუშაოები მალე დაიწყება და წლის ბოლომდე დასრულდება.

მადლობა თანადგომისთვის

ერთ წერილში შეუძლებელია, სრულად და ამომწურავად ისაუბრო იმ პროექტებზე, შესრულებულ სამუშაოებზე, რომლებიც ბოლო ხანებში განხორციელდა ტოლების თემში.

ზემო და ქვემო ნოღა, კეშელავების, ბოცვაძეების უბანში ჩატარებული სამუშაოები ტოლებისა და ბუღნარას დამაკავშირებელი ხიდის გრანდიოზული მშენებლობა, რომელიც ამ დღეებში დასრულდება, ნაწილია სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობისათვის გადადგმულ ნაბიჯთაგან.

სოფლის მცხოვრებთა სახელით, როგორც თემის მაჟორიტარმა, მადლობა მინდა ვუთხრა შპს "სახარიას" დირექტორს, ბატონ დავით პაიჭაძეს თანასოფლელთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. თოვლისგან შიდა სასოფლო გზების გაწმენდა, საცალფეხო ხიდი, მთელი რიგი სამუშაოები მან დამატებით შეასრულა.

განსაკუთრებული მადლობა საქართველოს პარლამენტის წევრს, ბატონ გიორგი კახიანს, მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურს, ყველას, ვინც მხარში გვიდგას სოფლის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში.

ვიმედოვნებთ, მომავალი, როგორც ქვეყნისთვის, ისე ტოლებლებისთვის უფრო ნათელი იქნება.

ილია მჟავია
სოფელ ტოლების მაჟორიტარი

მე-4 ბაგა-ბაღის ახლად გარემონტებული დარბაზი მოინახულეს

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ხათუნა ახობაძე, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა ადეიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მე-4 ბაგა-ბაღს საგანგებო მიზნით სტუმრობდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა საბავშვო ბაღის ახლად გარემონტებული დარბაზი და ოთახი მოინახულეს. ხელისუფლების მისამართით არაერთი სამადლობელი სიტყვა თქვა ბაღის გამგემ, ნანა დუნდუამ. ასევე არაერთი ეპითეტი გაისმა ხელისუფლებისაგან ამ ბაღის მიმართ. ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა დასძინა, რომ ეს ბაღი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათია და ის კვლავ შესძლებს ამ ტიტულის შენარჩუნებას. ახლად გარემონტებული დარბაზი კი, როგორც პედაგოგებს, ისე ბავშვებს მოტივაციას აუმაღლებს საიმისოდ, რომ აქ კიდევ უფრო ლამაზი და საინტერესო ღონისძიებები მოეწყოს.

ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი:

"ბაღები არის ჩვენთვის პრიორიტეტი. გასულ წელს ყველა ბაღში მოვაწესრიგეთ სამზარეულოები, წლევანდელ წელს ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა მოგვმართა თხოვნით და თავადვე გამოჰყვეს თანხა, რომ გარემონტებულიყო ეს საბავშვო დარბაზი. ძალიან კმაყოფილნი ვართ ჩვენც, რომ უხარიათ ბავშვებს და მშობლებს".

ნანა დუნდუა: "არაჩვეულებრივი დარბაზია, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ და სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელმა ქალბატონმა ხათუნამ ნამდვილად კეთილი საქმე გააკეთეს, ბავშვებს გაულამაზეს ის უვარგისი დარბაზი, აქ საშინელი იატაკი იყო, მინები არ გვქონდა, ყველა სამუშაო მაღალ დონეზე შესრულდა. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელობას, ბავშვებისთვის ასეთ დიდ ყურადღებას რომ იჩენენ. განსაკუთრებული ღონისძიება გვაქვს ჩაფიქრებული, მასზე მოვიწვევთ იმ ადამიანებს, ვინც ახლაც არიან ჩვენს გვერდით და იმათაც, ვინც დღეს ჩვენს გვერდით არ არიან. მიყვარს ყველა და ვუყვარვარ ყველას".

ლიზა კრავეიშვილი, გამგებლის მოადგილე: "აღფრთოვანებული ვარ, იმიტომ, რომ ძალიან მომეწონა აქაურობა, ყველაფერი ხარისხიანია, იატაკი დიდ ცვეთას განიცდის და საუკეთესო მასალაა მისთვის შერჩეული. ეს საჩვენებელი ბაღია, ჩვენი სავიზიტო ბარათია და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება არის მის მიმართ და უკუგებაც არის ამ ბაღიდან. მისი თანამშრომლების მუშაობითაც კმაყოფილნი ვართ და მომავალში კიდევ უფრო ბევრ სიკეთეს გავუკეთებთ არა მარტო ამ ბაღს, არამედ სხვა ბაღებსაც.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი, ხათუნა ახობაძე: "წლის ბოლოს ბაღის კვებაში გაგვიკეთდა ეკონომია, თანხა სასიკეთო საქმისკენ მივმართეთ. მარტო ეს დარბაზი კი არა, 5 სხვა ბაღშიც გაკეთდა დარბაზი. ეს ბაღებია: მე-5, მე-2, მე-11, 1 და მე-10. შეიცვალა იატაკი, ჯერ ყველა სამუშაო არ არის დასრულებული და როცა დასრულდება, იქაც ვესტუმრებით. 5-ივე ბაღში 18 600 ლარის სამუშაოები შესრულდა.

_ ამ დარბაზში არაერთი ლამაზი ღონისძიების მომსწრე ყოფილხართ არა მარტო როგორც გაერთიანების მმართველი, არამედ როგორც აღმზრდელი, ალბათ, აქაურთა ენთუზიაზმს გააძლიერებს ახალი გარემო და დარბაზი:

_ მე ვიყავი ამ ბაღის აღმზრდელი, ვიცოდი აქაურთა პრობლემა, ვიცი, როგორ უჭირდა აქ დარბაზს. ამიტომ გადავწყვიტე, ჩვენთან არსებული თანხის ეკონომიით გაგვერემონტებინა დარბაზი. წლის განმავლობაში 4-ჯერ აქვთ ღონისძიება ბაღებს. ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყვნენ აღმზრდელები, ბავშვებს არ ჰქონდათ დარბაზი და შევეცადე, მათი პირობები მცირეოდენით გამეუმჯობესებინა, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი საუკეთესოა".

ზაზა ადეიშვილმა და სხვა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, რომ მათ პრიორიტეტად აქციეს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და ასეთი კარგი საჩუქარი გაუკეთეს დიდი ტრადიციებისა და შემოქმედებითი პოტენციალის მქონე დაწესებულებას. მე-4 ბაგა-ბაღის პაწაწინა აღსაზრდელები სტუმრებს ლექსებით შეეგებნენ, შემდეგ კი ყველა სტუმარმა სამზარეულოში გადაინაცვლა, სადაც ახალი გაზქურები დგას და უკვე პატარების სადილი ამ კომფორტულ გარემოში მზადდება.

ლიკა ბოკელავაძე, აღმზრდელი: "ძალიან მოგვწონს ახალი დარბაზი, მადლობა ყველას, უკეთესი ღონისძიებებით დავამშვენებთ მომავალში ამ დარბაზს. ჩვენი ლამაზი ბავშვებით მოგეფერებით და გავალამაზებთ სხვადასხვა დღესასწაულებს."

ნინო დოლიძე, აღმზრდელი: "ყოველი დღე ბავშვებთან ურთიერთობისა ისედაც სადღესასწაულოა. ამიერიდან ახალი დარბაზის შემდეგ კიდევ სადღესასწაულო განწყობა შეგვექმნება.

"კონსერვატორების" რიგგარეშე ყრილობაზე

ნინო ნანიტაშვილი

საქართველოს "კონსერვატიული პარტიის" მე-6 ყრილობა 10 თებერვალს თბილისში, ვერის საკალათბურთო დარბაზში გაიმართა. ამ მოვლენას წინ რეგიონებში ჩატარებული კონფერენციები უსწრებდა; მათ შორის სამტრედიაში, სადაც მე-6 ყრილობის დელეგატები აირჩიეს.

ვერის საკალათბურთო დარბაზში იმ დღეს მთელი საქართველოს მასშტაბით 3000-მდე დელეგატი იყო მოწვეული. სამტრედიიდან 40-მდე დელეგატი გახლდათ წარმოდგენილი.

ყრილობა 14 საათზე დაიწყო. "კონსერვატორების" გვერდით ყრილობაზე მოწვეული სტუმრები დაფიქსირდნენ, ძირითადად, კოალიცია "ქართული ოცნებიდან". მათ გარდა საპატიო მისიით იყვნენ ევროპელი "კონსერვატორები". ევროპელ კონსერვატორ-რეფორმატორთა ალიანსს წარმოადგენდნენ თავმჯდომარე იან ზარადილი, აღმასრულებელი მდივანი რიჩარდ მილსონი, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი რიჩარდ ცარენსკი. მე-6 ყრილობა, დაახლოებით, 2 საათი გაგრძელდა. შეხვედრა გახსნა საქართველოს პარლამენტის "კონსერვატორთა" ფრაქციის წევრმა, ბიძინა გუჯაბიძემ. სიტყვებით გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე, ზვიად ძიძიგური. მან "კონსერვატიული პარტიის" საქმიანობის შესახებ ვრცელი მიმოხილვა გააკეთა. მოხსენებაში აღნიშნა კოალიციურ რეჟიმში პარტიის მიღწევები: "საქართველოს ყველა რაიონში ჩვენ გვაქვს პირველადი პარტიული ორგანიზაციები. კოალიციურ რეჟიმში პირველ და მეორე ადგილებს ვინაწილებთ საკრებულოს წევრთა რაოდენობით. გვიკავია ერთ-ერთი წამყვანი პოზიციები საკრებულოებში კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეების მიხედვით. პარტიის გაძლიერების შედეგი იყო სწორედ ის, რომ რიგგარეშე, ყრილობის მოწვევა გახდა აუცილებლად საჭირო. ცვლილებები შედის ეროვნული კომიტეტისა და ქალთა ორგანიზაციის შემადგენლობაში. ასევე ახალგაზრდული ორგანიზაციიდან ეროვნულ კომიტეტში 1 წევრი იქნება წარმოდგენილი. ეროვნული კომიტეტის ძველ შემადგენლობას 7 წევრი დაემატა".

საქართველოს "კონსერვატიული პარტიის" თავმჯდომარემ, ზვიად ძიძიგურმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ "კონსერვატიული პარტიის" აზრით, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა და ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ დედა იყოს ქალი და მამა _ კაცი. ამ შეფასებას ტაში დარბაზთან ერთად ევროპელმა კონსერვატორებმაც გულიანად დაუკრეს.

პარტიის თავმჯდომარის გამოსვლაში საპარლამენტო აქტივობების გააქტიურების შესახებ ითქვა. ზვიად ძიძიგურმა მოხსენების ბოლოს ყურადღება გამახვილა ევროპელ კონსერვატორებთან წარმატებულ ურთიერთობებზე. აღნიშნა, რომ მათი პარტია "ევროპელ კონსერვატორთა" ოჯახის წევრი 2014 წლიდან გახდა: "მათი მხრიდან დიდი მხარდაჭერა მოვიპოვეთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. "ევროპელ კონსერვატორთა" გამოცდილება და მხარდაჭერა საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, ევროსაბჭოში ასოცირებასთან მიმართებაში ჩვენი ქვეყნისათვის დიდი დახმარება იქნება. "ევროპელ კონსერვატორთა" დახმარებით საქართველოს "კონსერვატიული პარტიის" ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ქეთი მამულაშვილი 2015 წლის 5 დეკემბერს არჩეულ იქნა "ახალგაზრდულ ევროპელ კონსერვატორების" პრეზიდენტად. ესეც, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა ჩვენი პარტიისათვის და მთლიანად საქართველოსთვის".

ყრილობის მონაწილეების წინაშე ანგარიშით წარსდგა საპარლამენტო ფრაქცია "ქართული ოცნება _ კონსერვატორების" თავმჯდომარე გიგა ბუკია. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ფრაქციის ინიციატივით 40-მდე კანონპროექტია წარმოდგენილი.

მე-6 რიგგარეშე ყრილობაზე ანგარიშით გამოვიდა ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქეთევან ჯოხაძე. იგი ამავე დროს თბილისის საკრებულოს წევრი გახლავთ. მან, თავის მხრივ, ისაუბრა ქალთა ორგანიზაციაში ჩატარებულ რეფორმებზე და ხაზი გაუსვა პოლიტიკაში ქალბატონების გააქტიურების აუცილებლობაზე. და იქვე პარტიის წესდებაში შევიდა ცვლილება, რომელიც ქალთა ორგანიზაციის მხრიდან კომიტეტში სამი წევრის შესვლას ითვალისწინებს. ასევე, საარჩევნო სიის ყოველ ათეულში ქალთა წარმომადგენლობა მინიმუმ სამი კანდიდატით განისაზღვრა. სიტყვით გამოვიდა ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ქეთი მამულაშვილი. მან ხაზი გაუსვა პარტიულ საქმიანობაში ახალგაზრდების დიდ როლს. მადლობა გადაუხადა ევროპელ სტუმრებს მისთვის გამოცხადებული ნდობისათვის.

სიახლეა ისიც, რომ ამიერიდან ეროვნულ კომიტეტში ახალგაზრდული ორგანიზაცია ერთი წევრით იქნება წარმოდგენილი.

ყრილობის დელეგატებს მიესალმნენ ევროპელი სტუმრები. ევროპელ-კონსერვატორ-რეფორმატორთა ალიანსის თავმჯდომარე, იან ზარადილმა მადლობა გამოუცხადა ქართველ კოლეგებს მათ მიმართ ასეთი კეთილგანწყობის გამოხატვისათვის, რის დასტურადაც მან იქვე გამოფენილი "ევროპელი კონსერვატორების" დროშა ააფრიალა. იან ზარადილი ქართველ თანამოაზრეებს მხარდაჭერას მომავალ ურთიერთობებში დაჰპირდა.

მე-6 რიგგარეშე ყრილობის შეფასება "სამტრედიის მაცნემ" სამტრედიაში დაბრუნებულ კობა ძიძიგურს სთხოვა. "კონსერვატიული პარტიის" იმერეთის რეგიონის თავმჯდომარემ 10 თებერვლის შეკრება, ზოგადად, დადებითი შეფასება მისცა: "ყრილობა ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. მე თვითონ, როგორც ეროვნული კომიტეტის წევრი, ნაწილობრივ ვმონაწილეობდი საორგანიზაციო საკითხებში და ვიცი, როგორ დეტალებში იყო გათვლილი ყველა მოქმედება. აღსანიშნავია, რომ პარტიის მონდომებამ შედეგი გამოიღო და ორგანიზაციულად თითქმის ყველაფერი სრულყოფილად გამოიყურებოდა. დარბაზი დელეგატებით შეივსო, ტექნიკური საკითხები უხარვეზოდ წარიმართა. ყრილობაზე გამომსვლელებმა აუდიტორიის ინტერესი და მოწონება გამოიწვიეს. შთაბეჭდილება სტუმრებისათვის, ეტყობოდა, საკმაოდ დიდი იყო. ისინი ყველა გამომსვლელს ტაშით აჯილდოვებდნენ. ასე, რომ იმერეთის რეგიონის დელეგატები კმაყოფილები დავბრუნდით და ახალი ენერგიით შევუდექით ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეო საქმიანობას".

გვახსოვდეს თებერვალი...

ლევან გაბეჩავა

თითქმის საუკუნე, 95 წელი გავიდა 1921 წლის 25 თებერვლიდან, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიიდან, მაგრამ თავს კვლავაც გვახსენებენ სისხლიანი თებერვლის ქრონიკები.

1918 წლის 26 მაისს მოწინავე ქართველებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაბადება ამცნეს მსოფლიოს. ერთ-ერთმა პირველმა აღიარა მეზობელი საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთმა, მაგრამ...

სამი წელი იარსება ნოე ჟორდანიას მთავრობამ, თუმცა ბევრს, ძალზე ბევრს მიაღწია დროის ამ მცირე მანძილზე.

ქართული ბონი (ფულის ერთეული) კონსტიტუციის მიღება, ჰიმნი, ალამი... სახელმწიფოს ძირითადი ატრიბუტები ამის ნათელი დასტურია.

აღიარების მიუხედავად, საბჭოთა რუსეთი ვერა და ვერ ეგუებოდა საქართველოს სუვერენიტეტს.

1921 წლის თებერვალში "ლეგენდარული მეთერთმეტე არმია" თბილისს მოადგა.

აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ახალშობილი დემოკრატიული სახელმწიფო.

თბილისში ბრძოლები მიმდინარეობდა.

გმირულად, თავგანწირვით იბრძოდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად სამხედრო სასწავლებლის კურსანტები _ იუნკრები, ახლად დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, ინტელიგენცია, პატრიოტები.

ტაბახმელა, კოჯორი... სისხლში ცურავდა.

მოსკოვში, ლენინისა და სტალინის სახელზე სერგო ორჯონიკიძემ, თეთრ ცხენზე ამხედრებულმა რომ შემოუძღვა დამპყრობთ, დეპეშა აფრინა: "თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს".

ათობით ქართველმა ჩაიცვა შავი, რომელთა შვილებმა, ძმებმა, დებმა, მამებმა, უყოყმანოდ მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე.

საქართველო გლოვობდა გმირებს.

საძმო საფლავში ჰპოვებს განსასვენებელი იუნკრებმა.

სრულიად საქართველო დასტიროდა უმშვენიერეს მარო მაყაშვილს, პოეტ კონსტანტინე მაყაშვილის ასულს, სათნოების დად, მოხალისედ რომ იყო ბრძოლაში.

...საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებითო. _ სწერდა შემდეგ შვილმკვდარი მამა.

ოკუპანტები თბილისში. 1921 წლის თებერვალი

საქართველოს მთავრობა დევნილობაში წავიდა. უცხო მიწაში საფრანგეთში, სოფელ ლევილში "მეორე საქართველოში" განზავდა ქართველ მამულიშვილთა სხეული, მხურვალე გული.

1924 წელს ქართველებმა სცადეს დამოუკიდებლობის აღდგენა, თუმცა აჯანყებამ კრახი განიცადა, მოთავენი სასტიკად დასაჯეს, საეკლესიო უდანაშაულო პირებიც არ დაინდეს და საფიჩხიის ტყეში სასიკვდილო განაჩენი განსჯის გარეშე გამოუტანეს ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნაზარს, (ლეჟავა) სამღვდელო კრებულს.

მოგვიანებით, საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მიტროპოლიტი ნაზარი და მასთან ერთად აღსრულებულნი, ახალმოწამენი უწოდა მათ.

სულ ახლახან კი საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა 1921 წლის თებერვლის მოვლენებისას დაღუპული მარიამ (მარო) მაყაშვილი სახელმწიფოს მაღალი ჯილდოთი დააჯილდოვა. (სიკვდილის შემდეგ)

დიახ, არ ივიწყებენ გმირებს ჩვენში.

9 მარტი, თუ 9 აპრილი, 8 აგვისტო, მცოცავი ანექსია...

ისევ რუსეთი, ჩრდილოელი, ერთმორწმუნე უფროსი ძმა გვევლინება ჩვენი მიწა-წყლის დამპყრობად, ამწიოკებლად.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ როცა საქართველოს მიმართ რაიმე სახის აგრესიაზეა საუბარი რუსეთის მხრიდან, ქართველი ერი მშვიდობისმოყვარე მრავალმილიონიან რუსულ ერს არამც და არამც არ აიგივებს პუტინთან, მედვედევთან, სხვა შოვინისტურად მოაზროვნეებთან.

მოდის 25 თებერვალი და თავს ისევ გვახსენებს 1921 წლის 25 თებერვლის პირშეუკრავი ჭრილობა, ასობით გმირით რომ გაამდიდრა ქართველ ღირსეულ მამულიშვილთა ზეციური სამყოფი.

95 წელი (1921 წ.) გავიდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიიდან.

რეფორმის ნამყვანი მასწავლებელია

ნინო ნანიტაშვილი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან შეხვედრად იმერეთის რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელები სამტრედიის მე-11 საჯარო სკოლის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ.

შეხვედრაში მონაწილეობისათვის მოწვეულნი იყვნენ სამტრედიის საჯარო სკოლების დირექტორები და სკოლების ფასილიტატორი პედაგოგები. დამსწრე საზოგადოებას და ქალბატონ მინისტრის მოადგილეს, ლია გიგაურს მიესალმა, სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა მე-11 საჯარო სკოლის დირექტორმა, ლენა ხაჟალიამ. მანვე სკოლის სახელით მადლობა გადასცა მინისტრს, თამარ სანიკიძეს, შარშან მე-11 საჯარო სკოლის ინტერესების დაცვის საქმეში გამოხატული მხარდაჭერისთვის. ლენა ხაჟალიამ ცალკე გამოჰყო მისთვის ასევე განსაკუთრებულად საპატიო ადამიანის მე-11 საჯარო სკოლაში სტუმრობა. სიამაყით განაცხადა, რომ ეს პიროვნება, ოთარ ჩრდილელი მისი სკოლის კურსდამთავრებულია. საქართველოს პარლამენტის წევრმა ოთარ ჩრდილელმა თავის მხრივ კმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ მან თავის დროზე საშუალო განათლება მიიღო სამტრედიის სინამდვილეში ერთ-ერთ რეიტინგულ სკოლაში და მისი კლასის დამრიგებელი სწორედ ლენა ხაჟალია გახლდათ.

ამის შემდეგ შეხვედრის მონაწილეების წინაშე განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ ვრცლად მინისტრის მოადგილემ ისაუბრა.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: "განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ერთიან უწყვეტ განათლებას, სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული უმაღლესი განათლებით დასრულებული, აქცენტს აკეთებს განათლების ხარისხზე და სწორედ ამ უწყვეტობის მიმართულების ერთ-ერთი დასტურია ის, რომ სკოლამდელი

განათლების კანონპროექტის მომზადებაში აქტიურად ვიყავით ჩართულები. რაც შეეხება განათლების ხარისხს, სწორედ განათლების ხარისხი იწყება სკოლამდელი განათლებიდან და დიდწილად განაპირობებს სასკოლო განათლებას".

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ძალიან მოკლედ რამდენიმე თემას შეეხო, იქვე გამოთქვა სურვილი, მოესმინა, რას ფიქრობენ განათლების მუშაკები დარგში მიმდინარე რეფორმაზე, მათ სკოლებში როგორ დაიწყო რეფორმები.

ლია გიგაურის აზრით, "ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც განათლების ხარისხთან არის დამოკიდებული, არის, პირველ რიგში, პროგრამა, რომლითაც ვასწავლით და ამას შეეხო. მეორე _ ვინ ასწავლის? და მასწავლებლებთან დაკავშირებული რეფორმები. მესამე _ როგორ ხორციელდება მართვა და მეოთხე _ როგორი გარემო გვაქვს განათლების ხელშესაწყობად და ყველა იმ მიზნების შესარულებლად, რომელიც დაისახა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ. პრიორიტეტი, კიდევ ერთხელ ვამბობ, არის ხარისხი, თუმცა, არ ვიქნები ძალიან მოკრძალებული და ვიტყვი, ხშირად იმ ადამიანებს, ვინც ამ სისტემაში არიან, განათლება, ხარისხი და ძირითადი მისია ავიწყდებათ ხოლმე და მხოლოდ თავის პირად საკითებზე საუბრობენ, როდესაც შეხვედრებია, განათლებაზე ძალიან ნაკლებად ვსაუბრობთ და ვსაუბრობთ, თითოეულ ადამიანს პერსონალურად როგორი სოციალური პრობლემები აქვს".

ლია გიგაური როცა განათლებაზე საუბრობს, არ ავიწყდება, რომ ყველაზე მთავარი ფაქტორი აქ არის მასწავლებელი: "რაც არ უნდა კარგი რეფორმა და კარგი გეგმა იყოს, ადგილზე ვინ როგორ ასრულებს ამას და ბავშვთან რა მიდის, სწორედ იმაზეა დამოკიდებული. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შეთქვენ იცით, რომ განსაზღვრული იყო წლიურად და ძალიან ძნელია, პირველ კლასში უკვე სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს მიაღწიონ, ამიტომ ზოგადი შედეგები საფეხურის ფარგლებში უნდა იყოს განსაზღვრული. ყველაზე სპეციფიური და ხანგრძლივი საფეხური, იცით, რომ გვაქვს დაწყებითი განათლების საფეხური, იგი ექვსწლიანია, გაიყო ორ ნაწილად, რომ მე-4 კლასის ბოლოს დადებულიყო საერთო შედეგები. განმავითარებელის შეფასება, როდესაც მასწავლებლისთვის არის ასეთი აქილევსის ქუსლი, იმიტომ რომ იგი სტანდარტიდან უნდა ამოიღოს, ყოფილიყო ადვილად გასაკეთებელი, რადგან სტანდარტში თვითოეული მისაღწევი შედეგი გაწერილი იქნებოდა ძალიან მარტივი ენით, რადგან განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა სწორედ სტანდარტის შედეგებს. ამდენად, ჩვენ გვაქვს პრობლემური სახელმძღვანელოები, ფაქტობრივ შეცდომებს შეიცავს, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნებში, ფორმულირებშია შეცდომები, ისტორიაში თარიღებია არეული, მაგრამ ამ სახელმძღვანელოებს ვერ შევცვლიდით, თუ ვერ შევცვლიდით ეროვნულ სასწავლო გეგმას. ცხოვრება წინ მიდის, ახალი გამოწვევებია მთელ მსოფლიოში".

როდესაც პირველი-მეექვსე კლასი გადამუშავდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნა იყო, ის პედაგოგები, რომლებსაც ამ პროექტის დანერგვა მოუწევდათ თავიანთ კლასებში, წაეკითხათ და გადამუშავების პროცესში პრაქტიკული რჩევები მიეცათ სამინისტროს ვიპ ჯგუფისთვის: "ისინი ძალიან მონდომებულები არიან, მაგრამ არ არიან პრაქტიკოსი ადამიანები, ისინი არ მიდიან ყოველდღე მოსწავლესთან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს, კლასში როგორ ხედავს მასწავლებელი, ეს განმთხვევაში გახლავთ მასწავლებელი და როგორ ტარდება გაკვეთილი. ყველაზე მთავარი გახლავთ პროგრამა, რომლითაც ვასწავლით. როდესაც ჩვენ ვაგზავნიდით ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ ვარიანტს და ყველა საგნობრივი პროგრამა ინტენსიურად იგზავნებოდა, ამას ჰქონდა ერთი მიზანი. მიუხედავად იმისა, 2006 წელს შეიქმნა პირველად ეროვნული სასწავლო გეგმა, ყველა მასწავლებელს ჩაუტარდა ტრენინგი, მაინც აღმოჩნდება ხოლმე ისეთი მასწავლებელი, რომელიც აკეთებს განცხადებას, მას არ ესმის, რა წერია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ვისი ბრალია ეს? რა თქმა უნდა, იმის, ვინც არ დაინტერესდა, მაგრამ არის თვითონ სასწავლო გეგმის ენობრივი სტრუქტურის მიზეზი. სწორედ ამიტომ, როდესაც ჩვენ მიზნად დავისახეთ ეროვნული სასწავლო გეგმის გადამუშავება, ამას ჰქონდა რამდენიმე არგუმენტი: ერთი ის, რომ მასწავლებლებისთვის ყოფილიყო გასაგები ადვილად, თუ რა შედეგებზე უნდა გავიდეს მასწავლებელი, მეორე _ სახელმძღვანელოს ავტორებისთვის ყოფილიყო გასაგები, რადგან მათ უნდა მომაზადონ ამ სტანდარტის შესაბამისად სახელმძღვანელო, მესამე გახლდათ ის, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებით, ხორციელებადი პროექტია. თუმცა მინდა, გითხრათ, რომ ჩვენ მივიღეთ ძალიან ცოტა რეკომენდაცია სკოლებიდან, მცირერიცხოვანი იყო მოსაზრებები, მე მინდა, გთხოვოთ და დღევანდელი შეხვედრის მიზანიც ეს არის, თუ ერთმანეთში ინფორმაციებს არ გავცვლით, თუ ყველა ერთად არ ვიქნებით მობილიზებული, ძალიან ძნელია, რომ ერთმა რგოლმა რაიმე გაუმჯობესოს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამდენჯერ ყველა საგნის სასწავლო გეგმის გამოგზავნა და ამ მიზანს ემსახურება ბოლოს გადმოგზავნილი "მე და საზოგადოების" სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტი, რომელიც უნდა დამტკიცდეს".

ლია გიგაურს სამტრედიაში განათლების დარგის მუშაკებთან შეხვედრაზე არ დაუმალავს, რომ "მე და საზოგადოების" თემას დიდი აჟიტირება მოჰყვა: "ყველაზე გულსატკენი იყო ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ 9 თვის განმავლობაში რამდენჯერმე გადაიგზავნა და რაც მთავარია, საიტზე სულ დევს ეს სტანდარტი, ჩვენივე მასწავლებლები წერდნენ იმას, რომ, ვაიმე, რა საშინელება ყოფილა ეს "მე და საზოგადოება". როცა ხელმისაწვდომი იყო და სკოლაში გადმოგზავნილი, დარწმუნებული ვარ, ვინც წაიკითხა, ალბათ, დარწმუნდა, რომ ის პოლიტიკური მიზნებით აგორებული რაღაც ჭორები არანაირ კავშირში არ არის განათლების სამინისტროს სახელმწიფო სტანდარტებთან. და არც შეიძლება იყოს მე-3, მე-4 კლასის პროგრამაში ეს საოცარი რაღაცეები. მეორეს მხრივ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თქვენ რამდენად მოგწონთ ეს პროგრამა და რა არის იქ ისეთი, რასაც ვერ ასწავლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი. ეს საკითხები, როგორც გამჭოლი კომპონენტები, გაბნეული იყო სხვადასხვა საგნებში, იყო მცირე კურსების სახით. ჩვენ ვზრდით მომავლის მოქალაქეებს, ყველაფერი ერთად არის და ყველამ კარგად ვიცით, რომ ცოდნა, უნარები და ღირებულებები ერთად განიხილება როგორც კომპეტენცია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენგან გამოხატულ უკუკავშირს. სადღაც 10 დღეში გამოცხადდება ახალი სახელმძღვანელოების კონკურსი. ამ კონკურსის პირობები და კრიტერიუმები შეიცვალა, რითაც შევარჩევთ სახელმძღვანელოებს".

სახელმწიფო გრიფირების პროცესში აქტიური ჩართვისკენ მოუწოდა იმ დღევანდელ შეხვედრაზე საჯარო სკოლებს ლია გიგაურმა: "აქაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს ჩართულობას. გვჭირდება საუკეთესო პროგრამა, საუკეთესო სახელმძღვანელო და საუკეთესო მასწავლებელი. პრაქტიკაში რაც არ მოწმდება, არავინ არ იცის, ის კარგია, თუ ცუდი. პრაქტიკაში როგორ მუშაობს, ეს იცით უკვე თქვენ, ვინაიდან თქვენ შედიხართ კლასში, თქვენ გყავთ ფასილიტატორები."

მოხსენების ბოლოს გიგაურმა და დარგის მუშაკებმა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიარეს მნიშვნელოვანი, მათთვის საჭირბოროტო თემები. შეხვედრის ყველა მონაწილე მინისტრის მოადგილეს დაეთანხმა, რომ კავშირი სამინისტროსა და სკოლის თითოეულ მასწავლებელთან უნდა იყოს უფრო აქტიური. ასევე, ერთხმად იქნა აღიარებული, რომ რეფორმის წამყვანი გახლავთ მასწავლებელი.

მზეს ამოსვლას ეს აკლიან

დიახ, ალიონზე მზის ამოსვლამდე დგებიან ისინი, მაშინ, როცა ქალაქი ჯერ კიდევ ღრმა ძილს მისცემია.

მეხსიერებას შემორჩა მხოლოდ მეეზოვეთა ცოცხის ხმა და უხეირო მორახრახე ტრაქტორი, ქალაქიდან ნაგავს რომ ეზიდებოდა და ნახევარი ისევ ქუჩაში იყრებოდა.

როცა ქვეყანაში ახლებურმა სიომ დაბერა და მზერა ევროპისაკენ გაგვექცა, კომუნალური სამსახურები სპეცტექნიკით, მეეზოვეები სპეცტანსაცმლით, ქალაქები, დასახლებული უბნები თანამედროვე, კომფორტული ნაგვის ურნებით აღიჭურვნენ.

"წუთშესვენება" დავარქვით ფოტოს პირობითად, რომელზედაც ქალბატონები ნინო ნუცუბიძე და მარინა შენგელია არიან აღბეჭდილნი შესვენებისას.

დარსა და ავდარში, წვიმაში, ქარში ისინი საოცარი ერთგულებით ასუფთავებენ ქალაქს, გული სწყდებათ ზოგიერთები უდიერად რომ ექცევიან ახალდარგულ ნერგებს, ძელსკამებს ამტვრევენ, დასუფთავებულ დაგვილ ქუჩებში მზესუმზირის, საღეჭი რეზინის, ნაყინის ქაღალდებს... ყრიან.

ვიდრე საზოგადოება ურთიერთის შრომის დაფასებას მიეჩვევა, გვსურს ამ ორი ფუტკარივით დაუზარელი ქალბატონის სახით მოახლოებული ქალთა დღესასწაულები 3 და 8 მარტი მივულოცოთ ქალბატონებს, რომლებიც კომუნალურ გაერთიანებაში არიან დასაქმებულნი და დღესა და ღამეს ასწორებენ სამტრედე ქალაქის სისუფთავისა და სიკოხტავისათვის.

ლევან გაბაჩავა

"ლადის" ერთი წლის თავზე

ქეთევან ჭელიძე

ბატონმა თეიმურაზ ლეკვეიშვილმა პირობა შეასრულა და საქართველოს იმ მიზნითაც ეწვია, ფოლკ-ჯგუფი "ლადი" უცხოელი სტუმრებისთვის გაეცნო. გაცნობას კი ის მოჰყვა, რომ იორგენ შულცი, კონცერტების ერთ-ერთი ორგანიზატორი გერმანიაში და მილიონერი ქალბატონი, სამოდელო ბიზნესის მფლობელი ურსულა იაქსი აღფრთოვანებული დარჩნენ ჯგუფის მუსიკალური ნომრებით. ეს იმას ნიშნავს, რომ სულ მალე სამტრედიელები გერმანიაში, ხალხით სავსე დარბაზებში გამართავენ კონცერტებს.

შეგახსენებთ, რომ ბატონმა თეიმურმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ლეკვეიშვილების გვარის შეკრებაზე ისაუბრა ჯგუფის გერმანიაში წაყვანაზე. თემურ ლეკვეიშვილი ოჯახთან ერთად წლებია გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ცხოვრობს. აქვს საკუთარი ფირმა OWPG _ გერმანული საპროექტო კორპორაცია, რომელშიც დასაქმებულნი არიან წამყვანი არქიტექტორები, მშენებელი ინჟინრები და მშენებლობის ექსპერტები. კომპანიას მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, მუსიკის სიყვარული უბიძგებს, ქართველი შემსრულებლები წარუდგინოს გერმანელებს. უკვე 32 მუსიკალურ ანსამბლსაც მოუწყო გასტროლი საზღვარგარეთ.

იურგენ შულცი, რომელიც მის ფირმაში კულტურის განხრით მუშაობს და რომელზეც დიდად არის დამოკიდებული ანსამბლების მოწვევა, ძირითადად, საესტრადო კონცერტებზე აკეთებს აქცენტს. ბატონი თემურის წინადადებით, იგი საქართველოს ფოლკლორითაც დაინტერესდა. მეგობარს ჩვენს ქვეყანაში წამოჰყვა. პირველი ხალხური ჯგუფი, რომელიც მან აქ ნახა "ლადია". "მინდოდა, უშუალოდ ენახა, რა შეუძლია ჩვენს ბავშვებს, როგორაა მუსიკა განვითარებული სამტრედიაში და რა შეუძლია ერთ კაცს, რომელმაც ახალგაზრდები შეკრიბა, დაასაქმა და მიმართულება მისცა თავიანთი სულიერი მოთხოვნილების რეალიზების მოსახდენად". _ ამბობს იგი. იქვე პარალელსაც ავლებს: "პირველად რომ მოვუსმინე "ლადის", მაშინდელი და დღევანდელი ნანახი ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება, ბავშვები გაიზარდნენ. დღეს მათ შეძლეს უფრო მეტი ეჩვენებინათ. განსაკუთრებით აღვნიშნავ, რომ ძალიან ლამაზი კომპოზიციები აქვთ შერჩეული. ის, რომ სურვილი აქვთ, პროფესიულ კოლექტივად ჩამოყალიბდნენ, აქეთკენ, მე მგონი, უკვე ნაბიჯი გადადგეს. ამ მხრივ ჩვენი მიწვევაც დაეხმარებათ".

ეს კი, რამდენად სწრაფად მოხდება, იმაზეა დამოკიდებული, როგორ დასტაბილურდება გერმანიაში სიტუაცია. ქვეყანა, რომელმაც სირიაში მიმდინარე ომის გამო მილიონამდე დევნილი შეიფარა, მთელი ფინანსური საშუალებები უსახლკარო ადამიანების დასახმარებლად მიმართა. თუმცა, არ გამორიცხავს ჩვენი რესპონდენტი, რომ მალე საქველმოქმედო ორგანიზაციები კულტურული ღონისძიებისთვის გამონახავენ თანხებს და ამის შემდეგ "ლადი" პირველი იქნება, ვინც გერმანიაში გამართავს კონცერტს. მეტიც, თვლის, რომ არა მარტო გერმანიაში, ახლომდებარე ქვეყნებშიც შეძლებენ კონცერტების გამართვას, გნებავთ, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ლუქსემბურგსა და სხვაგან. ვარაუდობს, რომ ამ საქმეში მათ გერმანიაში არსებული საქველმოქმედო ორგანიზაცია "თეთრი ბეჭედიც" დაეხმარებათ, ასევე, ის გერმანული ფირმები, რომელსაც საქართველოში აქვთ წარმომადგენლობა. "შესანიშნავი ქვეყანაა, _ ამბობს იურგენ შულცი, _ ტრადიციული, საინტერესო, უძველესი შენობებითა და ტაძრებით. გული მწყდება, რომ მოშლილი ინფრასტრუქტურა გაქვთ, მაგრამ, ჩემი აზრით, მარტო უცხოელ ინვესტორებზე არ უნდა შეჩერდეთ, თავადაც უნდა იზრუნოთ". ბატონი შულცისთვის მთავარი მაინც ის სულიერი კულტურაა, ის მუხტი, რომელიც ქართველებს გვაქვს და რასაც ევროპა თანდათან ჰკარგავს. ეს კი ყველაზე მეტ სიმდიდრედ მიაჩნია მას. ფიქრობს, რომ ჩვენი სულიერება ქვეყნის გარეთ უნდა გავიტანოთ და ყველას ვაჩვენოთ. სწორედ ქართველური მუხტითა და ჟინით მოხიბლა უცხოელები "ლადიმაც".

"ევროპელი ბავშვები ფლეგმატურები არიან, კავკასიელებსა და მათ შორის ამ მხრივ დიდი სხვაობაა. ეს ახალგაზრდებიც ენერგიულები არიან, მათ ხელის შეწყობა სჭირდებათ, რომ ამ ყველაფრის კეთების სურვილი არ დაჰკარგონ. ისინი კარგად ფლობენ ინსტრუმენტებს. იცით, რა ბავშვი გყავთ მარი ტორონჯაძის სახით! ალმასია, რომელიც უნდა გაჩარხო და ბრილიანტად აქციო. ძალიან ძლიერი ხმა აქვს". _ ირწმუნება თეიმურაზ ლეკვეიშვილი.

ბატონი თემურის კიდევ ერთი მეგობარი, ქალბატონი ურსულა, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის მუსიკას იცნობს და დილასაც მათი მოსმენით იწყებს, "ლადის" საშემსრულებლო ოსტატობითაც მოიხიბლა. "დიუსელდორფი, ევროპის მოდის დედაქალაქია. ურსულას კი აქვს ფირმა, რომელთანაც სამოდელო სააგენტოები და დიზაინერები თანამშრომლობენ. ეს ქალბატონი აწყობს მოდის ჩვენებებს გერმანიაში, ძალიან ძლიერი ადამიანია". _ გვიხასიათებს მას ბატონი თემური.

ჩვენი თანამემამულე ერთგვარი დესპანია უცხოეთში, საქართველოს სასიკეთოდ რომ იხარჯება. მისი მეშვეობით მრავალმა უცხოელმა გაიცნო ჩვენი ქვეყანა და მრავალი პროექტიც განახორციელა. სწორედ მისი დარწმუნებით მოდიან ისინი საქართველოში.

ბატონმა იურგენ შულცმაც, როგორც თემური იტყვის, ყველაფერი ისე იქნებაო, თქვა. გადაწყვიტეს, რომ კოლექტივების გაცვლით პროგრამებზეც იმუშაონ. ბატონმა იურგენმა, რომელსაც კულტურულ სფეროში მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს, "ლადის" ხელმძღვანელს, ბატონ ბეჟან გოგიას შესთავაზა ფოლკ-ჯგუფი ე. წ. ევროპული პროგრამით წარსდგეს გერმანელი მსმენელის წინაშე _ სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორული ნაწარმოებებით გაამდიდრონ რეპერტუარი.

პირველივე შესაძლებლობისთანავე "ლადი" გერმანულ ტურნეს გამართავს, მანამ კი სტუმრებმა ბევრი აღფრთოვანებული სიტყვა და იმედიანი განწყობა დაუტოვეს ფოლკ-ჯგუფს.

მას, რაზეც ახლა მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ, მუსიკასთან საერთო არაფერი აქვს. შეიძლება, პირობითად იგი წერილის მეორე ნაწილად ჩავთვალოთ. თემურ ლეკვეიშვილმა ჯერ "სამტრედიის მაცნესთან" შემდეგ კი მუნიციპალიტეტის გამგებელთან იმ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სამტრედიაში.

"დავაინტერესებ ინვესტორებს, რომ მუნიციპალიტეტში განვახორციელეოთ ის პროექტები, რომლებიც მისთვის იქნება მისაღები. დაველაპარაკე სასტუმროების ქსელის წარმომადგენლებს გერმანიაში და თუ ამის საჭიროება იარსებებს, ისინი ერთ სასტუმროს ააშენებენ ამ ქალაქში. ასევე, განვახორციელოთ პროექტები, რომელიც შეეხება საკანალიზაციო სისტემას, გამწმენდ ნაგებობებს და ათასი სხვა რამ. და კიდევ ერთი, მთელ საქართველოში არ არსებობს საამშენებლო მანქანებისა და ტექნიკის საკონსტრუქტორო საწარმო. უფრო ზუსტად, დიდი ავტობუსები, რომელთაც "ნეოპლანეტებს" ვეძახით შესაკეთებლად თურქეთში გადააქვთ. ჩემი სურვილია, მათი შეკეთება სამტრედიაში გახდეს შესაძლებელი და ამისთვის შესაფერისი საწარმოც აიგოს. "თავისთავად, ეს ხელს შეუწყობს 300-400 კაცის დასაქმებას". ეს ყველაფერი არ არის! თემურ ლეკვეიშვილს კეთილი ნება აქვს, კიდევ მრავალი რამ განახორციელოს საქართველოში და პირველ რიგში, სამტრედიაში.

სიმბოლური გახლდათ, რომ გერმანიიდან სტუმრების ჩამოსვლის დღეს "ლადი" ერთი წლის გახდა. წარმატებებს ვუსურვებთ ფოლკ-ჯგუფს და მის ხელმძღვანელს, ბატონ ბეჟან გოგიას, ფართო ასპარეზს მუსიკითა და სიმღერით სავსე შემოქმედებით გზაზე!

ლაჯარგული ბავშვობა

ბავშვობა ეს არის ბედნიერი, ლაღი, ტკბილი ცხოვრების ეტაპი. დრო, როდესაც არ ფიქრობ მომავალზე. შენი ბედნიერებისთვის სულ მცირეც კი საკმარისია. "ბავშვობა" ეს სიტყვა ასოცირდება სისუფთავესთან, უმანკოებასთან. ესაა პერიოდი, როდესაც არ გვაქვს პრობლემები. თითოეული მოზარდი ადამიანის ოცნებაა დაიბრუნოს ბავშვობა, მაგრამ ბავშვობა მხოლოდ ერთხელ არის ჩვენს ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, ყველას არ უმართლებს, არ აქვს ლაღი, უზრუნველი ცხოვრება, არ ჰყავს მოსიყვარულე ოჯახი. არა აქვს თბილი სახლი, საჭმელი, სუფთა ტანსაცმელი. ბავშვები, რომლებსაც უწოდებენ "ქუჩის ბავშვებს", არიან მოკლებულნი სიყვარულს, პატივისცემას, რწმენას. მათი ეს ცხოვრების წესი ხელს უშლის მათ განვითარებას, ჯანმრთელობას, აზროვნებას. ისინი თითქოს სხვა სამყაროს წარმომადგენლები არიან. ამ სამყაროს კი ჩვენ ყოველდღიურად ვეხებით და ვუვლით გვერდს დანაშაულის გრძნობის გარეშე. ერთეულები თუ აგრძნობინებენ ამ ბავშვებს სიყვარულსა და სითბოს. უმრავლესობა ზევიდან უყურებს მაგრამ ვინ იცის, ხვალ ვინ ვიქნებით? რისი გაკეთება მოგვიწევს საკუთარი თავის სარჩენად?

დღესდღეობით თბილისის ქუჩებში 1000-მდე უსახლკარო ბავშვი ცხოვრობს. ძნელია, მოიპოვო ამ ბავშვების ნდობა. მათი მსხვერპლი შეიძლება თითოეული ადამიანი გახდეს. ეს ბავშვები არიან აგრესიულები საზოგადოების მიმართ, რადგან ფიქრობენ, რომ ისინი გარიყა საზოგადოებამ. ჩემი აზრით სწორადაც ფიქრობენ. მათი ამ ბავშვების დასასრული კი ხშირად რკინის გისოსებია. ეს არ არის მათი ბრალი, როგორ საზოგადოებაშიც იზრდებიან, ისეთები არიან. ჩვენ რომ მათ ვაჩუქოთ სიყვარული, სითბო და არ მოვექცეთ დამცინავად, უგულო ადამიანებივით, ყველაფერი შედარებით უკეთესად ექნებოდათ. ისინი თითქმის ყოველდღიურად გადაადგილდებიან, რადგან არ აქვთ მუდმივი სამყოფელი. ეს ყველაფერი კი მათ ქაოსურ ცხოვრებაზეა მანიშნებელი. მათხოვრულ ცხოვრებასთან ერთად კი ამ ბავშვების უბედურება ის არის, რომ "წებო" იაფფასიანი და ხელმისაწვდომია. ეს კი, მოკლედ რომ ვთქვათ, "იაფი კაიფია". ეს პრობლემატური საკითხი კარგად აქვს აღწერილი ნუგზარ შატაიძეს ნაწარმოებში "მოგზაურობა აფრიკაში", სადაც მთავარი პერსონაჟი ცხოვრობს მარტო და არსებობას აგრძელებს "ქუჩური" ცხოვრებით. მოკლებულია ოჯახს, მის სიყვარულს. ეს ბავშვი იცნობს მოწყალების გამღებთა ფსიქოლოგიას: ვის რა დროს, როგორ და რა უნდა სთხოვოს. მას აქვს დაკარგული რწმენა, რომ არსებობენ კეთილი ადამიანები. ასეთი ასაკისათვის ამის ცოდნა არ არის აუცილებელი, რადგან ფსიქოლოგიურ ტრავმაზე მიგვანიშნებს. ვეცადოთ, ვიყოთ სამართლიანები საზოგადოებისა და ჩვენი თავის წინაშე. მოხდეს ამ ბავშვების ადაპტაცია ჩვენს სამყაროში.

საბედნიეროდ, ქალაქ სამტრედიაში არ არის პრობლემა მათხოვარი ბავშვების ეგრეთ წოდებული "ქუჩის ბავშვების" შესახებ. იშვიათად, ერთ-ორ ბავშვს თუ გადავაწყდებით. 14 წელია, ამ ქალაქში ვცხოვრობ და 14 წლის მანძილზე მე პირადად არ მინახავს ბავშვი, რომელიც ქუჩაში ან რაიმე დაწესებულებასთან იდგეს და დახმარებას ითხოვდეს. ალბათ, თითოეულ თქვენგანს გაგიჩნდებათ კითხვა, რატომ? იმიტომ, რომ ძალზედ განვითარებულ, მდიდარ ქალაქში ვცხოვრობთ? სადაც ბავშვები უზრუნველად ცხოვრობენ არ ჭირდებათ დახმარება? რა თქმა უნდა არა. ჩვენთანაც არიან ბავშვები რომლებიც ცხოვრობენ სახლებში, რომლებსაც არ აქვთ ფანჯრები, კარები, მაგრამ რატომ არ ითხოვენ დახმარებას? ალბათ, ამის პასუხი, ჩემი აზრით, არის ის, რომ ამ ქალაქში ყველა ყველას იცნობს. არ უნდათ ერქვათ "ქუჩის ბავშვები".

ნანა ქასპარაძე
მესწავლე-ახალგაზრდების სახლის ნორჩ ჟურნალისტთა წრის წევრი

“ვისაც ლიტერატურა უყვარს”

“ჩემთვის სუპერ გმირები ადამიანები არიან”

ნათია ნაცვლიშვილი

დავით მანჯგალაძე ინტელექტუალური თამაშების მუნიციპალურ ჩემპიონატზე გავიცანი. მაშინვე გამიჩნდა აზრი, ეგი საუკეთესო რესპონდენტი იქნებოდა ჩვენი რუბრიკისთვის “ვისაც ლიტერატურა უყვარს”. გულწრფელად რომ ვთქვათ, ამ რუბრიკაში ჩაწერაზე არაერთმა ნიჭიერმა და ცნობილმა სახემ უარი გვითხრა. დათო კი ის გამონაკლისია, შეთავაზებას იმწამსვე რომ დასთანხმდა. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკიდან პირდაპირ ჩვენთან მოვიდა და საინტერესო საუბარიც შედგა.

“ადამიანებს ერთმანეთისათვის არ სცალიათ, დრო არ აქვთ ერთმანეთზე ზრუნვისა და სიყვარულისათვის...

სელუნას სახე შეეცვალა, მიხვდა, თუ საიდან უტევდა დრო და რატომ შემოაღწიეს წამებმა სასახლეში, ეს წამები ადამიანებისათვის წაერთმია ობანის მეუფეს და მათ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრის დრო დაუტოვა.

ასე ნელდებოდა სიყვარული დედამიწაზე და ოლეანდრსაც ამიტომ გაუჩნდა ნაპრალები” _ ეს ამონარიდია დავით მანჯგალაძის ნაწარმოებიდან, რომელიც სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტებს შეიცავს. სიყვარულის, კაცთმოყვარეობის დეფიციტი... აი, ავტორის აზრით რა დიაგნოზი შეიძლება დაესვას თანამედროვე საზოგადოებას. ჩვენი რესპონდენტი გულწრფელი და საინტერესო მოსაუბრეა. მაშ ასე, გაიცანით ახალგაზრდა, რომელიც მისი თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა სახეა, შესანიშნავად რომ პასუხობს პოეტის მიერ დასმულ მარად აქტუალურ შეკითხვას: “ვინ მოდის მანდ მომავლიდან?...

_ მე-9 კლასიდან სამხედრო სასწავლებელში _ კადეტთა სამხედრო ლიცეუმში გადავედი სასწავლებლად. ეს განათლების სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტი იყო. მიზანი ჰქონდათ, აღეზარდათ მომავალი ელიტარული ოფიცრები. პირველივე ნაკადში მოვხვდი, გვყავდა შესანიშნავი პროფესორ-მასწავლებლები. მიუხედავად იმისა, საკმაოდ წარმატებულ კურსანტად ვითვლებოდი, ჩემი ცნობიერება უფრო სხვა რამისკენ იყო მიმართული. დავფიქრდი, რომ ადამიანს უფრო ღრმა მისია აკისრია და არ უნდა იყოს ყოველდღიურობის არტახებში მოქცეული. ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად მართლმადიდებლურ ტაძარში მივედი და ჩავაბარე სემინარიაში, რათა უკეთ შემესწავლა ცხოვრება და ფანატიზმის ჩარჩოებში არ მოვქცეულიყავი. ბათუმის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარიის მე-3 კურსის სტუდენტი ვარ.

_ პარალელურად არაერთ საინტერესო პროექტში მონაწილეობთ. სამტრედიის ინტელექტუალთა ნაკრები გუნდის ახალ წევრად მიგიღეს. არაერთი მიღწევა გაქვთ როგორც გუნდურ დონეზე, ისე პირადად თქვენ. ამ ბოლო ხანს რატი ამაღლობელის გადაცემაში “სიტყვების თამაში” გაიმარჯვეთ, ასევე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ ორგანიზებული წერის კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული ხართ...

_ ონლაინ რეჟიმში ინტელექტკლუბის დახურულ ჯგუფში ვთამაშობდი ამ თამაშს და მიმიწვიეს. როცა რებრენდინგი განხორციელდა, ჩამსვეს გუნდში, კარგად შევთამაშდით. უკვე სუპერლიგაში ვართ, მოგეხსენებათ 13 მარტიდან გაზაფხულის სერიას დავიწყებთ. ვარ “რა? სად? როდის?” 2015 წლის სტუდენტური ლიგის ჩემპიონი. ამავე წელს ჩატარდა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის წერის კონკურსი “ზღაპარი დიდებისთვის”, რომელიც ეძღვნებოდა ნილ გეიმანის საღამოს და უნდა ყოფილიყო სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტების შემცველი. 7 საათში დავწერე ეს ნაწარმოები. 200-მდე ნამუშევრიდან ჩემი LACRIMOSA (ასე დავარქვი მოცარტის გენიალური ნაწარმოების სახელი, რადგან წერის დროს მას ვუსმენდი) მოხვდა სამეულში. ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა ამ ნაწარმოებმა. მითხრეს, თუ ნაწარმოებს განვავრცობდი, დიდი სიამოვნებით დაბეჭდავდნენ. ჟიურის წევრები იყვნენ გამომცემლობის რედაქტორები.

_ წერას აგრძელებთ?

_ ბავშვობიდანვე ვწერდი, მაგრამ გამიჩნდა კომპლექსები. ზოგმა მითხრა, წერა ბავშვს გადარევსო და ნაწერები დავწვი. მინდა, უფროსებს მოვუწოდო, არასოდეს დაუშალონ წერა ბავშვს. მერე მოვხვდი იმ ადამიანების წრეში, რომელთაც პირიქით, მიბიძგეს წერისაკენ და ვწერ...

_ ახლახან თქვენი შესაძლებლობები გადაცემაში “სიტყვების თამაში”გამოსცადეთ. გარდა იმისა, რომ შეხვდით თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო პოეტს, თამაშშიც წარმატება მოიპოვეთ...

_ მინდა, ყველას ვურჩიო, რა შანსიც მიეცემათ, აუცილებლად გამოიყენონ. არ ვართ განებივრებული იმ ცხოვრებისეული შესაძლებლობებით, თავადვე მოვაწყოთ ლამაზი შოუები. თუკი ვინმე შემოგვთავაზებს მსგავს პროექტებში მონაწილეობას, უნდა დავთანხმდეთ. მოვიგე ფეისბუქ ვიქტორინა, დამირეკეს და მივედი. მოხარული ვარ, რომ მომეცა იმ ადამიანის გაცნობის საშუალება, რომელსაც მივიჩნევ თავისუფალი აზროვნების მქონე პიროვნებად...

_ ამ ბოლო ხანს ლამის პატრიარქის მოძულეობა დასწამეს რატი ამაღლობელს ლექსის გამო “პიეტა მიწისქვეშა გადასასვლელში”... როგორ აღიქვით თქვენ ეს ლექსი?

_ ეს ლექსი ვერლიბრია, თითქოს ყურისთვის არ არის ლამაზად მოსასმენი. ჩემი აზრით, ვერლიბრი ხიდია პოეზიასა და პროზას შორის. ვფიქრობ, ეს ყველაზე ფაქიზი რამაა, პოეზიაზე ფაქიზიც, რადგან პოეტი ცდილობს, ორივე გააერთიანოს, მას სჭირდება როგორც მწერლური ნიჭი, განათლება, ასევე პოეტური ხედვაც. პირადად მე, თუ რამეს ნიშნავს ჩემი აზრი, ლექსი არ მომეწონა. რადგან ამ ლექსში ვერ დავინახე კონკრეტული მიზანი. მასში ამოვიკითხე, რომ ეს ეხებოდა არა კონკრეტულად პატრიარქს, არამედ ზოგადად ერს და იმას, რომ ჩვენ ვერ ვეხმარებით ერთმანეთს და ყველა ვფიქრობთ მხოლოდ ჩვენს თავზე. რატის პატრიარქი კი არ სძულს, ის სილას აწნის იმათ, ვინც ვერ ხვდებიან საზღვარს ჭეშმარიტ ქრისტიანობასა და ფანატიზმს შორის. ეს ჩემი აზრია. ჩვენ ადამიანები ერთმანეთს არ ვეხმარებით, ვისაც ვჭირდებით მის გვერდით არ ვდგებით.

_ ვიცი, რომ შთაგონებული ხართ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწერლით, გურამ დოჩანაშვილით, კერძოდ, “სამოსელი პირველით”. ქართული პროზის თუ პოეზიის საგანძურიდან კიდევ რომელ ნაწარმოებებს გამოარჩევთ?

პირველ რიგში ვიტყვი, გურამ დოჩანაშვილი არის აპოთეოზი. ის გვჩუქნის ყველა იმ პერსონაჟს, რომელიც მსოფლიოს დანარჩენ კლასიკოსებს ცალ-ცალკე გამოუყენებიათ. ამ ადამიანს ყოველგვარი ხასიათი აქვს მოცემული. ძალიან მომწონს ჯემალ ქარჩხაძის “იგი”. ამ ნაწარმოებს ვკითხულობ და ვხვდები, როგორც კომუნისტურ პერიოდში, ისე ახლაც სურთ, თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს ხელი უბიძგონ და ქარაფში გადაჩეხონ. იმიტომ, რომ სხვა დანარჩენებს ერთმანეთის ესმით. იმ განსაკუთრებულად მოსაუბრეს კი აგდებენ... ძალიან მომწონს ეკზიუპერი. თითქოს, როცა კითხულობ, ფიქრობ, რომ შენც გიფიქრია ყოველივე ამაზე, მაგრამ არ იყავი ეკზიუპერი, ეს რომ დაგეწერა. თანამედროვე ფილოსოფოსები და თეოლოგები ერთ აზრზე შეჯერდნენ და თქვეს: თუ ეკზიუპერი არ გაქვს წაკითხული და გააზრებული, გაგიჭირდება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანად ჩამოყალიბება. “პატარა უფლისწულიდან” განსაკუთრებულად მომწონს ფრაზა: “ამ უფროსებს ხომ ვერაფერს გაუგებ”... ძალიან არ მომწონს უცხო სიტყვების რაზარუხი. ვერ გამიგია, რატომ უნდა დავაბნიოთ ადამიანები -ცია ბოლოსართებით დაბოლოებული სიტყვებით, რატომ უნდა გამოვიყენოთ ისინი, როცა არსებობს მათი ქართული შესატყვისები. ისინი, “განათლებული” ადამიანები გვაბნევენ ამ სიტყვებით...

_ თუმცა ჩვენი ქვეყანა ისეთი პოლიტიზირებულია, ქართველებმა უცხო სიტყვებიც კარგად ისწავლეს... წლების წინ პოეტმა რატი ამაღლობელმა თქვა, პოეზიის მოყვარული ადამიანები დინოზავრებივით გადაშენდნენო, მაინც მგონია, დღეს მერკანტილური ღირებულებებით დამუხტულ საზოგადოებას ნაკლებად ხიბლავს წიგნი, ლექსი, პოეზია... თქვენს ირგვლივ მყოფი ახალგაზრდები როგორ ფიქრობენ: საჭიროა მხატვრული ნაწარმოებების კითხვა, სულიერად დაპურება? მხოლოდ კარგ ცხოვრებაზე ზრუნვაა მთავარი, თუ სადმე ზღვარი უნდა გაევლოს ამ მისწრაფებებს შორის?

_ ვფიქრობ, ზღვარის გავლება ინდივიდუალური რამაა. დღეს ადამიანები საკუთარ თავს ჰყოფენ კატეგორიებად. ალბათ, თავისუფალი ადამიანი თავის თავს რომელიმე კატეგორიას არ უნდა აკუთვნებდეს. ეს იმიტომ, რომ მათ აკლიათ, შეიძლება, განათლება. არ ვამბობ წიგნიერ ცოდნაზე, შეიძლება ადამიანს ჰქონდეს წიგნიერი ცოდნა, მაგრამ არ ჰქონდეს განათლება. განათლება _ ესაა თანდაყოლილ, შინაგან მშვენიერებასთან შეზავებული წიგნიერება, რაც შრომის ხარჯზე მიიღწევა. მშობლებმა არ უნდა მიუთითონ შვილებს, თუ ვისთან იმეგობრონ. უნდა იმეგობრონ იმათთან, ვინც მათ სულთან ახლოსაა. ჩვენთვის მთავარია სული... თუ “სულის შემძვრელი” არ არის ნაწარმოები, არ ვარგა... პოეზია, ჩემი აზრით, გხსნის და გხურავს. გააჩნია, შენ როგორ მიიღებ მას. როგორც ყველა ადამიანი ვერ ჩასწვდება კარგი ნახატის არსს, ასევე, პოეზიასაც... აქტიურად ვკითხულობ პოეზიას, ხშირად, სევდა რომ მომწოლია, გადმომიღია რომელიმე პოეტის კრებული... დამხმარებია ტერენტი გრანელი, ზესაოცარია გალაკტიონი... როცა ამ პოეტთა ლექსებს კარგად ვიაზრებ, ვხვდები, რომ მე არავინა ვარ ამ დროს... დავუშვათ, რამე შეჯიბრი ან პროექტი მოვიგე, მომდის ფესიბუქმოლოცვები, ამ დროს გადმოვიღებ ამ კლასიკოსებს, წავიკითხავ და ვხვდები, არ ვარ არავინ!... როგორც ეკლესიასტე ამბობს: “ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაოა”. როგორც მამა გაბრიელი ამბობს, “უნდა იცხოვრო ისე, რომ არა მარტო ღმერთს, არამედ ადამიანებსაც უყვარდე.” ჩემი აზრით, იცოცხლებ იქამდე, სანამ ადამიანებს ემახსოვრები...”

_ რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით?

_ კანუდოსელები ჩემთვის ლიტერატურაში ყველაზე დიდი გმირები არიან, არსებობს უამრავი კომიქსი. არის მარველის კომიქსები, “კაპიტანი ამერიკა” და ა. შ. მაგრამ ჩემთვის სუპერგმირები არიან კანუდოსელები, რადგან ისინი მიზანს სწირავენ თავს. იციან, რისთვის კვდებიან. ისინი არ არიან აღძრულნი სისხლის წყურვილით. იგივე მოხუცი სანტოსი ცოლშვილის მკვლელს შეუნდობს. სწორედ ეს არის დოჩანაშვილი, მისივე სიტყვებია: “ადამიანებს ბიბლია ბიბლიის გარეშე უნდა მოუტანო”. ამ ნაწარმოებში ხომ სახარებისეული პერსონაჟებია. თუნდაც მთლიანი პასაჟი უძღები შვილის დაბრუნებაა, ეს გმირები სიყვარულისთვის, მოყვასისათვის სწირავენ თავს. ქრისტემ თქვა: გიყვარდეთ! ჩემი საყვარელი პერსონაჟია მანუელო კოსტა, რომელიც თითქოსდა ერთი ქარაფშუტა ადამიანია, რომელსაც გართობისა და დალევის მეტი არაფერი ადარდებს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ის თავს სწირავს სხვებისთვის. ეს ჩემთვის ყველაზე მისაბაძი რამ არის.

_ უკაცრიელ კუნძულზე რომელ წიგნს წაიღებდით? გაქვთ ისეთი წიგნი, როგორც მურმან ლებანიძე ამბობს, “რომ გადაშალო საკანში და ზღვა ახმაურდეს?..”

_ ჩემს არჩევანს ვერ ვღალატობ. ეს წიგნი ჩემთვის ყველაფერია! იმ კუნძულზე თუ რამე დამემართება, იქიდან თავის დახსნის ყველა გზას ვიპოვნი “სამოსელი პირველში”.

_ ძალიან მალე იწყება ინტელექტუალთა სუპერლიგის თამაშები, როგორ დაახასიათებთ თქვენს მოწინააღმდეგე გუნდებს, როგორები არიან მოაზროვნეები, რომელთაც საზოგადოება მხოლოდ ეკრანიდან იცნობს?

_ დიახ, 13 მარტიდან დედაქალაქში იწყება სუპერლიგის თამაშები. ჯერ რაიონებიდან არავის მოუხერხებია ეს. ცნობილი ინტელექტუალების გუნდები და სამტრედიის გუნდი ერთად თამაშობენ! როდესაც ამ ადამიანებთან ვარ, ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს, შემიძლია, ნებისმიერ თემაზე ვისაუბრო. არიან ისეთებიც, რომლებთანაც საერთო ენას ვერ გამონახავ. ჩვენი გუნდი “ინტერსტელარი” როცა “ახმაურდა” დაინტერესდნენ ჩვენით და ცდილობენ, თავიანთ ოჯახში მიგვიღონ. როცა გიორგი ბაქრაძის გუნდთან “გალაჰადი” ვითამაშეთ, რომელშიც ნიკა გვარამიაც არის და სხვებიც, ვეთამაშეთ დავით რაფავას და სხვებს რებრენდირებული გუნდით, პირველი ტური რომ დასრულდა, ერთნაირი ქულები გვქონდა, ჩვენი კაპიტანი გიორგი ჩაჩუა ამბობდა, დაიმახსოვრეთ, ეს დიდებული წამი ბიჭებოო! ბრეინ რინგის ნახევარფინალი ვითამაშეთ ბაჩანა შენგელიას ექვსეულთან, როგორი დაძაბულები იყვნენ, როცა ანგარიში 2 : 2 იყო. ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო, უკვე რომ ესმით “ინტერსტელარის” სახელი სხვა დანარჩენი ლიგის გუნდებს, ცდილობენ დაგვიმეგობრდნენ.

ბოლოს მინდა მივმართო მშობლებს: ძალიან გთხოვთ, ნუ დააძალებთ ბავშვებს კითხვას, რადგან ამგვარი მოქმედებით დაამახინჯებთ მათ შინაგან სამყაროს, ეცადეთ, სურვილი აღუძრათ წიგნისადმი, რომ მან თავად აირჩიოს მისთვის სასურველი ლიტერატურა. არ არსებობს ისეთი წიგნი, რომელიც რაღაც კონკრეტულ ასაკშია წასაკითხი. არც 50 ან 100 წიგნი არსებობს, რომელიც აუცილებლად უნდა წაიკითხოს ადამიანმა. მიეცით ბავშვებს არჩევანის უფლება, რათა თავად აირჩიონ, რა წაიკითხონ. ეს უფრო დადებით შედეგს გამოიღებს. წიგნი, ეს ხომ ბედნიერებაა, რომელიც ნებისმიერ ასაკში შეუზღუდავ უნარს განიჭებს იმისთვის, რომ შექმნა შენეული სამყარო...

...ლექსები ტანზე გამონაყარი...

მელაურის საჯარო სკოლის მოსწავლე იყო, როცა მისმა პედაგოგმა ქალბატონმა ლიკა პატარიძემ რედაქციაში მოიყვანა.

პირველი ლექსებიც "სამტრედიის მაცნეში" დააჭაშნიკა ბექა ფოცხვერიამ და მკითხველთან მისი პირველი შეხვედრაც შედგა.

მერე მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართულ არაერთ ღონისძიებაზე დარბაზი ბექას კრეატიული აზროვნებით, დახვეწილი მანერით, ლამაზი ლექსებით მოიხიბლა და...

თვალ-ყურს ვადევნებ, ვინტერესდები ბექას ყოველი წარმატებით. იგი ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, სპეციალობა _ სამართალი.

სწავლის პარალელურად ლიტერატურულ კონკურსებშიც მონაწილეობს და მოკრძალებული წარმატებებიც სახეზეა.

ამას წინათ, აჭარის დედაქალაქ ბათუმში არსებულმა ლიტერატურულმა კლუბმა ორგანიზება ლიტერატურულ კონკურსს გაუწია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა გარემოს დაცვის კუთხით ნაწარმოებების შექმნა.

კონკურსზე "წიგნის ხე" ბექამ წარადგინა ნაშრომი "წერილი ნაძვებს" და მეორე ადგილიც დაისაკუთრა.

როგორც ახალგაზრდა პოეტი, მეგობარ თანამოკალმეებთან ერთად ხშირადაა ქუთასიში, თერჯოლაში, ცაგერში გამართული საღამოების აქტიური მონაწილე.

მარტვილის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში კი რამდენიმე ხნის წინ, მას, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს, პერსონალური შეხვედრა მოუწყვეს.

თებერვლის დასაწყისში ბექა რედაქციაში გვეწვია და რასაკვირველია, უახლოესი გეგმებიც გაგვიმხილა.

_ მინდა, სამტრედიელი პოეტების, მწერლების ნაწარმოებები მოვიძიო და მათგან საუკეთესოები ერთ კრებულში მოვაქციო, რათა არ დაიკარგოს ისინი და მოხდეს მათი კიდევ მეტი პოპულარიზაცია. _ გვითხრა ბექამ და ისიც დასძინა, რომ როცა კრებული დღის სინათლეს იხილავს, მისასალმებელი იქნება, სამტრედიის საჯარო სკოლებში გამართულ ღონისძიებებზე კრებულში წარმოდგენილ მასალებს თუ გამოიყენებენო.

ახალი ლექსები ვთხოვეთ ახალგაზრდა რესპონდენტს და ის ლექსი დაგვიტოვა, იმ მეგობრების "გასაჯავრებლად" რომ დაწერა, რომლებიც "აბრაზებდნენ", თოვლი ყველგან მოდის სამტრედიის გარდაო.

***

"ვინ თქვა, არ მოდის თოვლი ქალაქში,
წუხელის ქალაქს სიმშვიდე ეცვა,
თოვლი _ ზეცის და მიწის თამაში,
სადაც ყოველთვის მარცხდება ზეცა.
ვინ თქვა, არ უყვარს თოვლი ამ ქალაქს,
გათავხედება გაბედა როგორ?!
ქალაქი თავის სიწმინდეს მალავს,
როგორაც დედა გასათხოვ გოგოს.
ვინ გაგიბედა ძვირი ქალაქო,
შერცხვება _ ცნახავს თეთრი ნაბადით.
შორსა ვარ, თორემ ყოველგვარ ტკივილს
ჩემივე ხელით ჩამოგაბანდი.
ვინ თქვა, არ მოდის თოვლი ქალაქში,
წუხელის ქალაქს სიმშვიდე ეცვა,
თოვლი _ ზეცის და მიწის თამაში,
სადაც ყოველთვის მარცხდება ზეცა.

როგორც ვთქვით, ბექას ხშირად იწვევენ საკუთარი ლექსებით სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში ლიტერატურულ ღონისძიებებზე, აღვნიშნეთ ისიც, რომ მარტვილში მისი პოეზიის საღამოც შედგა.

კარგი იქნება, უახლოეს მომავალში მშობლიური სამტრედიაც თუ უმასპინძლებს ახალგაზრდა შემოქმედს, რომელმაც გაბედულად შეაბიჯა პოეზიის საუფლოში.

იდეათა რეალიზებას, წარმატებებს ვუსურვებთ ბექას!

ლევან გაბეჩავა

შმაგი თოდუა საქართველოს ჩემპიონი გახდა

ქვეყნის დედაქალაქში 5 თებერვლიდან დაიწყო და 7 თებერვლამდე გასტანა საქართველოს ჩემპიონატმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" სპორტსმენები.

შმაგი თოდუა მეორე რიგში მარცხნიდან პირველი

სპეციალისტების შეფასებით, ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა და ჩვენმა ფალავნებმა წარმატებით იასპარეზეს. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო კულაშელმა შმაგი თოდუამ.

"სამტრედიის მაცნეს" საქართველოს ჩემპიონზე კომენტარი მისცა, წარსულში ასევე სახელოვანმა სპორტსმენმა, ვეფხია სტურუამ: "შმაგი 11 თებერვალს 19 წლის გახდა. მიუხედავად მისი ახალგაზრდული ასაკისა, იგი უკვე ტიტულოვანი სპორტსმენია. შმაგი ევროპის ორგზის და მსოფლიოს ერთგზის პრიზიორია. სპეციალისტების დახასიათებით, შმაგი თოდუა გამოირჩევა შრომისმოყვარეობით იგი საუკეთესო ტექნიკური მოჭიდავეა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს, ბიძინა მელაშვილს და ზაზა არქანიას. პირადად მე, შმაგი თოდუას პერსპექტიულ მოჭიდავედ ვაღიარებ. მჯერა, იგი მომავალშიც ბევრჯერ გაგვახარებს თავისი ჩემპიონობით".

საქართველოს ჩემპიონატი სამტრედიის კლუბ "ფალავანისათვის" და უშუალოდ კულაშლებისათვის კიდევ იმით იყო ნაყოფიერი, რომ საპრიზო მე-3 ადგილები კვლავ დაბა კულაშელმა სპორტსმენებმა დაიკავეს. 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ედემ ბოლქვაძემ და 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში იმედა ფანცულაიამ საპრიზო ადგილები წამოიღეს. მათი მწვრთნელებიც ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანიაა.

საქართველოს ჩემპიონატს, რომელიც სპორტკომპლექს "არენაში" 3 დღე გრძელდებოდა, სამტრედიიდან უამრავ გულშემატკივართან ერთად საჭიდაო კლუბ "ფალავანის" დირექტორი ირაკლი მელაშვილი ესწრებოდა. წარსულში სახელოვანი მოჭიდავე უმაღლეს შეფასებას აძლევს 2016 წლის თებერვლის საქართველოს ჩემპიონატს თავისუფალ ჭიდაობაში და ჩვენი, სამტრედიელი ფალავნების გამარჯვებას: "ჩემპიონატში მთელი საქართველო მონაწილეობდა. დაახლოებით, 200 წარმატებული მოჭიდავე. იოლი არ იყო მათ შორის საპრიზო ადგილების წამოღება და რაც მთავარია, _ ჩემპიონობა, შმაგი თოდუას პირველ ადგილზე გასვლა.

ვულოცავ ჩვენს ბიჭებს დამსახურებულ გამარჯვებას და "სამტრედიის მაცნეს" მკითხველისთვის დავაანონსებ, რომ შმაგი თოდუა ივნისში ბულგარეთში გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის, ხოლო სექტემბერში საფრანგეთში მსოფლიოზე იასპარეზებს. კლუბი "ფალავანი" ამაყი და ბედნიერია თავისი სპორტსმენების წარმატებით, რადგან ეს გამარჯვება კლუბის პრესტიჟს კიდევ უფრო ამაღლებს".

ნინო ნანიტაშვილი

სასკოლო სპორტულმა ოლიმპიადამ სტარტი აიღო

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის სისტემითა და საერთაშორისო სასკოლო სპორტის ფედერაციის მოთხოვნების მიხედვით ტარდება სასკოლო ოლიმპიადა საჯარო სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ჩვენს მუნიციპალიტეტში სულ 15 სკოლა ჩაერთო ამ ღონისძიებაში. ესენია: მე-11, წმ. ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური, მე-4, ტოლების, მე-10, მელაურის, 1-ლი, ღანირის, შპს "ცოდნა", ნაბაკევის, მე-12, დიდი ჯიხაიშის გ. ნიკოლაძის სახელობის, მე-3, ეწრის და საჯავახოს საჯარო სკოლები. შეჯიბრი სპორტის 5 სახეობაში მოეწყობა. ესენია: კალათბურთი, მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი.

სპორტულმა ოლიმპიადამ სტარტი აიღო მე-3 საჯარო სკოლაში. 16-17 თებერვალს სკოლებს შორის შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში მოეწყო. ეს სპორტის სახეობა ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენიმე სკოლას აქვს არჩეული. შეჯიბრში მონაწილეობდნენ: მე-3, ეწრის, მე-10, მე-4, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური და საჯავახოს საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც 2000, 2001 და 2002 წლებში არიან დაბადებულნი. საინტერესო და აზარტულ თამაშს თვალს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძეც ადევნებდნენ.

"მისასალმებელია, რომ სამტრედიაში დაიგეგმა ამ დონის შეჯიბრი, ჩვენივე ეგიდით ვატარებთ სხვადასხვა დონის შეჯიბრებს, მაგრამ, ეს უფრო ორგანიზებულია, სასიამოვნოა, რომ მასში ბევრი სკოლა მონაწილეობს, გამოვლინდებიან საუკეთესოები და შემაჯამებელი ღონისძიება საქართველოს დედაქალაქში გაიმართება. დიდია ხელმძღვანელობის როლი, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურს მადლობას ვუხდი, რომ ძალიან ორგანიზებულად ეწყობა ეს შეჯიბრი".

ნატალია მანჯგალაძე: "ღონისძიებას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ატარებს. მოგეხსენებათ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდას. ოლიმპიადის ორგანიზებაში ასევე ჩართულია კომპლექსური სპორტული სკოლა, განაცხადი 15-მა სკოლამ წარმოადგინა ოლიმპიური თამაშების 5 სახეობაში. დღეს ვხსნით ოლიმპიადას, ჩვენს მუნიციპალიტეტში 20 მარტისთვის შესარჩევი ტური უკვე დასრულებული იქნება. 27 მარტამდე მივაწოდებთ გამარჯვებული გუნდებისა და ინდივიდუალური სპორტსმენების სიას ოლიმპიურ კომიტეტს და 15 აპრილიდან გაიმართება რეგიონალური ტური. იქ გამარჯვებულნი კი, შემდგომ ეტაპზე, რესპუბლიკურ ტურში მიიღებენ მონაწილეობას. აღსანიშნავია, ისიც, რომ ჩვენ ვზრუნავთ სპორტსმენების სპორტული ინვენტარით აღჭურვაზე. მუნიციპალიტეტი გამარჯვებულ გუნდებს ფორმებით უზრუნველყოფს, ასევე დაფინანსდება მათი ტრანსპორტირების ხარჯები".

კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორის, ივანე კილტავას თქმით, ასეთ მასშტაბურ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს უფრო უნდა ეაქტიურათ. "ამ კუთხით უფრო მეტია სამუშაო. ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც სკოლის დირექცია, ისე სპორტის მასწავლებლები. ყველა დაძახილზე ფეხზე უნდა იდგნენ სკოლები. ყველა დირექტორი და მასწავლებელი უნდა იყვნენ საქმის ყურში, აი, ამ შემთხვევაში ექნება ამ შეჯიბრს ორგანიზებული სახე და მივიღებთ იმ შედეგს, რასაც ველოდებით. ამ ოლიმპიადის მიზანია, აღმოვაჩინოთ სკოლებში წარმატებული ბავშვები, ისინი მოვამზადოთ რეგიონალური ტურისთვის, რომელიც ქუთაისში ჩატარდება და შემდეგ რესპუბლიკურ ტურში გამოვლინდებიან საუკეთესონი და დაჯილდოვდებიან".

შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში გაიმართა, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრგიში. ერთეულთა თანრიგის შედეგები: ვაჟებში პირველ ადგილზე მე-3 საჯარო სკოლა (ვალალო კოპალეიშვილი და მამუკა რუხაია) გავიდა. მე-2 ადგილი _ ეწრის სკოლა, მესამე _ საჯავახოს სკოლა.

გოგონებში: 1-ლი ადგილი ეწრის საჯარო სკოლა (მარიტა და ანანო ფოცხვერიები), მე-2 ადგილი _ საჯავახოს, მე-3 _ მესამე საჯარო სკოლა.

წყვილთა თანრგის შედეგები: ვაჟებში: 1-ლი ადგილი მე-3 საჯარო სკოლა (ლეჟავა გიორგი და თევზაძე ჯუმბერი) მე-2 ადგილი _ ეწრის, მე-3 _ საჯავახოს სკოლა. საჯავახოს სკოლის მოსწავლეები ანი გაგუა და ლიკა თევზაძე ასევე გადავიდნენ შეჯიბრის მეორე ტურში.

გამარჯვებულები კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ დიპლომებით დააჯილდოვა.

ამირან ნიკოლეიშვილი გარდაიცვალა

სამტრედიასაც დააკლდით, ბატონო ამირან!

ერთ დღეს, თქვენი ყოფილი სტუდენტი, დიანა ნიკოლეიშვილი გახარებული მოვიდა სამსახურში: ჩემი ლექტორი, ბატონი ამირან ნიკოლეიშვილი შემხვდა ქუჩაში, თურმე, ჩვენს ქალაქში დასახლებულაო. ბევრი თბილი სიტყვაც მოაყოლა თქვენს ადამიანობასა და პროფესიონალიზმზე. ცოტა ხანში თქვენც შემოაღეთ რედაქციის კარი და მას შემდეგ ეს ურთიერთობა უფრო და უფრო გაღრმავდა.

ბევრს გაუკვირდა, ასეთი რანგის ადამიანმა მისთვის უცნობი რაიონი რომ აირჩია საცხოვრებლად.

მაპატიეთ, ბატონო ამირან, ''უცნობი'' ამ შემთხვევაში პირობითია, რადგან თქვენ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, ალბათ, ყველა სამტრედიელზე მეტად თუ არა, არანაკლებ იცოდით სამტრედიისა და თვალსაჩინო სამტრედიელების შესახებ.

ზეიმი იყო თქვენი ყოველი გამოჩენა რედაქციაში. არაჩვეულებრივი რესპონდენტი ბრძანდებოდით, ინტელექტუალი, უსაზღვროდ განათლებული. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მხოლოდ პოზიტიური განწყობა რომ შემოგქონდათ. ხანდახან საყვედურიც დაგცდებოდათ, თქვენი ცოდნის რეალიზების საშუალება, რომ არ გეძლეოდათ.

ჩვეული თავმდაბლობიდან გამომდინარე, იქნებ ბევრმა სამტრედიელმა არც კი იცოდა, რომ მისი თანაქალაქელი, მეზობელი თუ მეგობარი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და 14 წიგნის ავტორი რომ ბრძანდებოდით; რომ თქვენ პირველად გამოეცით ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში სტუდენტებისთვის; რომ 2000-2004 წლებში ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე იყავით; რომ თქვენი უშუალო ჩარევით 70 სახლი აუშენეს ნორვეგიელებმა ქუთაისში დევნილებს. 1990 წელს კი, იმ დროს, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაიძაბა. თქვენ, ოჩამჩირის რაიონში, რისკის ქვეშ ბავშვებს სკოლა აუშენეთ და მასწავლებელიც დაუნიშნეთ... თქვენს მიერ გაკეთებული კიდევ ბევრი საქმე კეთილ ამბად დარჩება თაობებს.

გული გვატკინეთ, ბატონო ამირან, ქუთაისელი კაცი, უკვე დააკლდით სამტრედიასაც და მთელ ქვეყანასაც.

უფალი შეგეწიოთ იმქვეყნად მიმავალ გზაზე!

ქეთევან ჭელიძე

საფლავის ქვაზე წასაწერი ეპიტაფია

ჩემს სანახავად მოხვედით? მაგრამ აქ ხომ მხოლოდ ტკივილით განაწამები ჩემი სხეულის ნარჩენებია, სული კი ზეცაშია, სადაც მე ისევ თქვენზე, ჩემს გოგონებსა და საქართველოზე ვზრუნავ, რომ დაგიცვათ ყოველივე ცუდისაგან.

ეჰ, რამდენის გაკეთება ვერ მოვასწარი, რადგან არცერთმა ხელისუფლებამ არ გამომიყენა. ცოდოა ჩემი ასაკისა და ცოდნის კაცის სიკვდილი...

ამირან ნიკოლეიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ეროვნული მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

მისი ნამოღვაწარი მრავალ თაობას აღზრდის

სამტრედიის ინტელიგენცია უდიდესი მწუხარებით იუწყება დიდი მოქალაქისა და მეცნიერის, ბატონ ამირან ნიკოლეიშვილის გარდაცვალებას.

მძიმე დანაკლისია მისი პიროვნების დაკარგვა არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებისთვის, არამედ სამტრედიის საზოგადოებისთვის, მისი ახლად შეძენილი მეგობრებისთვის.

რამდენიმე წლის წინ წილად გვხვდა ბედნიერება, გაგვეცნო ბატონი ამირანი, იგი ჩვეული უბრალოებითა და კეთილშობილებით გვხიბლავდა. თავისი გულთბილობით ჩვენი განუყრელი მეგობარი გახდა. იგი ჩვენი ხშირი ოჯახური შეხვედრის აქტიური

მონაწილე გახლდათ. მასთან ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე, იყო ქართული სიტყვის, ქართული ლექსის ზეიმი.

გვინდა, საზოგადოებას მოვუთხროთ ჩეხი ჟურნალისტის, ტომაშ კუჩერას სტუმრობის შესახებ, დასავლეთ საქართველოში. უცხოელი ჟურნალისტი სპეციალურად ჩამოვიდა აქ, კერძოდ, სამეგრელოსა და იმერეთში. ჩეხეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, ჩეხოლოგისა და უნგროლოგის, ბატონ სოსო მანტკავას მიერ. ეს ადამიანი ჩეხეთსა და უნგრეთში უდიდეს ქართულ საქმეს აკეთებს. აცნობს ევროპას საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურას. არის უდიდესი ქომაგი ჩვენი ქვეყნისა აფხაზეთთან მიმართებაში.

უცხოელი ჟურნალისტის მასპინძელი გახლდათ ამ წერილის ავტორი ნინო მიქელაძე. საჭირო გახდა ისტორიკოსი, რომელიც მაღალპროფესიულ დონეზე მეგზურობას გაუწევდა უცხოელს. ჩვენ დახმარებისათვის მივმართეთ ბატონ ამირანს, რომელმაც დაუმადლებლად, მაღალ დონეზე უმასპინძლა მას. ჩვენთან ერთად მოატარა სამეგრელო, გააცნო მისი ისტორია, კუთხური თავისებურებები, ეროვნული სამოსის მნიშვნელობასა და ტრადიციებზე ესაუბრა მას. ყოველი საღამო მთავრდებოდა ქართული სუფრით, რომელსაც უცვლელად თამადობდა ბატონი ამირანი. სტუმარმა თამადის მნიშვნელობაც კი არ იცოდა, მოიხიბლა ქართული სუფრის კულტურით. მინდა აღვნიშნო ტომაშ კუჩერას შეფასება ბატონი ამირანის თამადობისა და მისი კაცურკაცობის შესახებ. მან საახალწლოდ ბატონი ამირანი გაახარა თავისი ბარათით, რომელშიც უცხოელი ამირანს წერს, რომ იგი მსოფლიოში არის საუკეთესო თამადა და რომ აღფრთოვანებულია მისი განსწავლულობითა და ერუდიციით.

აი, ასეთი კაცი დააკლდა სრულიად საქართველოს. ასეთი პიროვნებები ასაზრდოვებენ მომავალ თაობებს და რა დასანანია, მის ამქვეყნიდან წასვლა 63 წლის ასაკში.

ჩვენ, მისი მეგობრები, იმედს ვიტოვებთ, რომ მისი ნამოღვაწარი მრავალ თაობას აღზრდის.

გემშვიდობებით, ჩვენო დიდო მეგობარო. ჩვენს ხსოვნაში დარჩები სამუდამოდ.

თემურ ჯულაყიძე
ნინო მიქელაძე

დიდი მამულიშვილი

საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა _ გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ნიკოლეიშვილი.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ბატონ ამირანთან მაკავშირებს დიდი მეგობრობა. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მიუხედავად სხვადასხვა კათედრებზე მუშაობამ ხელი ვერ შეუშალა ჩვენს სულიერ მეგობრობას, რომელმაც დროს წარმატებით გაუძლო და დღემდე გრძელდებოდა.

მსურს, სამტრედიის საზოგადოებას გავაცნო მისი პიროვნება. ბატონმა ამირანმა სამეცნიერო მწვერვალის დაპყრობისათვის ყველა ეტაპი გაიარა რიგითი ასისტენტობიდან პროფესორობამდე. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მას მრავალი მონოგრაფია და კვლევა აქვს გამოქვეყნებული ქართული კულტურის, განათლების, საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

ბატონი ამირან ნიკოლეიშვილი არის საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. საქართველოს ეროვნული აკადემიის ჟურნალის ''გონი ფრისა'' რედაქტორი, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორი, ჰუმანიტარული ინსტიტუტის დირექტორი. სადაც კი იმოღვაწა, როგორც დიდ პიროვნებას, დიდ შემოქმედსა და მეცნიერს ისე იცნობდნენ, ანგარიშს უწევდნენ მის აზრს.

მეგობრებისათვის იგი იყო დიდი მეგობარი. მასთან საუბარი საქართველოს ისტორიისა თუ სხვა პრობლემურ საკითხებზე იყო დამაჯერებელი და დიდად სარწმუნო.

ბატონ ამირანს ბოლო ოთხი წელი თავისი ოჯახით სამტრედიაში დაფუძნება მოუწია. ეს ძალზედ დიდი შენაძენი იყო სამტრედიის საზოგადოებისათვის. სამტრედიის ინტელიგენციამ სწრაფადვე შეაფასა და აიტაცა მისი პიროვნება, მისი სიღრმე და ამ მოკლე პერიოდში მან შეძლო მისი პიროვნების გამოვლინება, როგორც დიდმა მამულიშვილმა, დიდმა ქართველმა.

იგი ჩუმად, უპრეტენზიოდ დააბიჯებდა ჩვენს ქალაქში. თავისი ერუდიციითა და გამოცდილებით თავს არ აბეზრებდა საზოგადოებას, მეგობრებს. იყო უბრალო, თავმდაბალი, ჩუმად მოღვაწე კაცი, თავის ქვეყანასა და ერზე უსაზღვროდ შეყვარებული.

მძიმე სენით დაავადებული, ლოგინზე მიჯაჭვული, უკმაყოფილო იყო საკუთარი თავის, რომ ბევრი რამ ვერ მოასწრო გაეკეთებინა თავისი ქვეყნისთვის. სიცოცხლის ბოლო დღეებში მოასწრო დაემთავრებინა უკანასკნელი წიგნი ''ფიქრები საქართველოზე'', რომელიც დაბეჭდვის სტადიაშია.

რამდენიმე დღეში მივაცილებთ ბატონ ამირანს საფლავამდე. მსუბუქი იყოს მისთვის მისი მშობლიური მიწა.

ჩვენ კი, მისი მეგობრები, ქედს ვიხრით მისი პიროვნებისა და ხსოვნის წინაშე.

ჯარიეტა რუსია
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

... რა საოცარი დასრულდა წლები

ამირან ნიკოლეიშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, მრავალი ისტორიული მონოგრაფიის ავტორი, სამტრედიაში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ გავიცანით.

პირველად, როცა ბატონი ამირანი ჩვენს სამეგობრო წრეში აღმოჩნდა, ვიგრძენით, რომ ის ყველა ღირსებით შემკული ადამიანი იყო, რომელმაც ცხოვრების ყველა ლაბირინთი გაიარა და უმადურობისა და გაუტანლობის გზაზე სიკეთეს თესავდა.

მძიმე და სასტიკმა სენმა უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა. პირველმა, თავად იცოდა საკუთარი ხვედრის შესახებ, მაგრამ უკურნებელ სენს უნდობლობა გამოუცხადა და საზოგადოებასა და ხალხს რომ არ მოსწყვეტოდა, უსაყვარლესი საქმე გააგრძელა, პესიმიზმი ოდნავადაც არ გაჰკარებია, ისე გატაცებით წერდა, წერდა უკანასკნელ მემუარებს, ასრულებდა ისტორიულ თხზულებებსა და კვლევებს. წერდა უძვირფასესი მეგობრების შესახებ. მძიმე და სასტიკმა სენმა მისი სული ვერ დაშალა, ვერ გამოხრა, თუმცა სხეულმა დაჰკარგა მადლი და ხიბლი, არც ერთი წუთით არ უფიქრია დანებებულიყო. რაკიღა ერთხელ ირწმუნა ადამიანის ყოვლისშემძლეობა, ბოლომდე გვიჩვენა, თუ როგორი მეფური მედიდურობით უნდა შეხვდეს ადამიანი სიკვდილს. მისუსტებული და მიმქრალიც სიცოცხლის განსახიერებას წარმოადგენდა. მან ვაჟკაცურად დაამარცხა გაცნაურებული სიკვდილი.

მინდა გითხრათ, უზომოდ ბედნიერები ვიყავით მასთან, მის ოჯახთან ურთიერთობით.

სამტრედიის საზოგადოებაში მისი გამოჩენა ყოველთვის დიდ სიყვარულსა და სიმპატიას იწვევდა. ბატონ ამირანს მოკრძალებითა და პატივისცემით ხვდებოდნენ ყველგან, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქციაში. ჩვენი ქალაქის ისტორიაში დარჩება მისი ზნეობრივი საუბრები, რჩევები, სურვილები და, რაც მთავარია, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია. ამირან ნიკოლეიშვილმა ყველგან თავისი კვალი დატოვა, როგორც საქართველოს უერთგულესმა შვილმა შეუბღალავი ზნეობით შეინარჩუნა კაცურკაცობის სახელი. მას არასოდეს დაუკარგავს საკუთარი სულიერი სიმაღლე, სიწმინდე და მორალური პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე. ხშირად მომისმენია მისგან ''მარადისობა სურვილია, ადამიანის უკვდავი სურვილი, ადამიანები ამ სურვლის გარეშე უბრალოდ ვერ არსებობენ''. არ შემიძლია, ეს წერილი მისი საყვარელი პოეტის, გალაკტიონის გარეშე დავასრულო.

''შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია,
''ამირანია''? _ კვლავ ვკითხავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ''ამირანია''.

მიუხედავად იმისა, რომ ის სასოწარკვეთაში არასდროს ჩავარდნილა, სიმხნევისა და თავშეკავების უბადლო მაგალითს იძლეოდა, სადღაც გულის სიღრმეში, ალბათ, გრძნობდა განშორების მტკივნეულ განცდას და ყველას, ყველას გვეფერებოდა...

თამარ რაზმაძე

ბატონ ამირან ნიკოლეიშვილის დატირება

ვაი, რა ნიჭი უნდა დამიწდეს,
ვაი, რა ცოდნას ეყრება მიწა,
სად არ ეძიე ქართული კვალი,
სად არ მოჩხრიკე შენ დედამიწა.
“ადამის მოდგმის პირველსაწყისებს
ქართული გენი ედო საფუძვლად,
მოძღვრავდა ღმერთი ადამიანებს
მხოლოდ ქართულად, მხოლოდ ქართულად”.
და უვიცობის წყვდიადში მყოფნი
ჩვენ აღვიქვამდით ამას რა რთულად,
თუმც გვიმტკიცებდი, გვისაბუთებდი
ჩვენს პირველობას მიზანსწრაფულად.
გთხოვთ მოგვიტევო ეს ურწმუნობა,
ჩვენ, უწიგნურთ და ბევრის არ მნახველს,
რადგან წერია, რომ კაცთა ცოდვებს
უფალი ამა ენითა ამხელს.
ერთი სიცოცხლე ვერ ამყოფინე,
ჭეშმარიტების ანბანის ახსნას,
მივიწყებული სიმართლისათვის
ობობას სქელი ქსელების ახსნას.
და დაიღალე მარტოდ მებრძოლი,
და მძიმე სენმა ჩაგჭიდა ჭანგი,
და დაგამსხვრია, როგორც მთის ბროლი,
დადუმდა ბაგე, დადუმდა ჩანგი.
ამქვეყნიური ცოდვებისათვის
აქვე ეწამე და განიწმინდე,
მიხვალ გზამართალს, გფარავდეს ღმერთი,
ჩვენ ურწმუნობა ჩვენი შეგვინდე.

აკაკი რუხაძე

თანამდევო დიდი წინაპრის!

თავად სიკვდილიც ვერ დაგაშორებს,
თუმცა ცხოვრების მკაცრი წესია,
ცას მიგაცილებს ჩვენი მტრედები,
ნავთსაყუდელს რომ მოგცემს მესია!
დავითის ქალაქს ჰპოვებ სიმშვიდეს,
აწ, თანამდევო, დიდი წინაპრის...
შენს მსგავს ვაჟკაცებს და ერთგულ შვილებს,
გელათის ზეცა ბევრჯერ ინატრებს!..
შენი სევდა და შენი ფიქრები
დედასამშობლოს კვლავ დასტრიალებს,
გონებით ქმნიდი, გულით უვლიდი
საქართველოს და მის მატიანეს!

თეიმურაზ ჯულაყიძე

“ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი” იუწყება, რომ გარდაიცვალა “კვლევის ცენტრის” ერთ-ერთი დამფუძნებელი, “კვლევის ცენტრის” კრებულ “ მატიანეს” სარედაქციო კოლეგიის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბატონი

ამირან ნიკოლეიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რომან ბექაია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა პროფესორი, ბატონი

ამირან ნიკოლეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბატონი

ამირან ნიკოლეიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამტრედიის მეისტორიე

სოფელ გომში დაიბადა. მეორე მსოფლიო ომში პირნათლად მოიხადა მხედრული, მამულიშვილური ვალი და მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

პროფესორმა მიხეილ ნიკოლეიშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ისტორიის, ეთნოგრაფიის კვლევის საქმეში.

1961 წელს იგი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორად დაინიშნა, 75 ათასიდან თითქმის ორასი ათასამდე გაიზარდა მუზეუმში დაცულ ექსპონატთა რაოდენობა, ცალკეულ მათგანს ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკვლევარ-ისტორიკოსების, ეთნოგრაფებისა და სტუდენტებისათვის.

პროფესორ ნიკოლეიშვილის ინიციატივით დაარსდა გელათის აკადემია, რომელიც 1990 წლამდე ფუნქციონირებდა.

წლების მანძილზე კითხულობდა ბატონი მიხეილი ლექციებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განსაკუთრებულია პროფესორის ღვაწლი მშობლიური სამტრედიის რაიონის ისტორიის კვლევის საქმეში.

ერთ-ერთი ყველაზე მეტად საყურადღებო წიგნი მიუძღვნა მან სამტრედიის ისტორიას, რომელიც დიდ სამსახურს უწევს ნებისმიერი ასაკის ადამიანს.

კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიების ცენტრმა 2000 წელს გამოჩენილ მკვლევართა შორის ბატონი მიხეილ ნიკოლეიშვილიც დაასახელა, რაც უდავოდ დიდი პატივი და აღიარება გახლდათ.

ქუთაისისა და სამტრედიის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პროფესორი ამ დღეებში 95 წლისა გახდებოდა.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

თარიღი

ქართული მეცნიერების ბერმუხა

ლევან გაბეჩავა



განსაკუთრებულია ქართული (და არა მარტო) მათემატიკური სკოლის წინაშე ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ (ნიკო) მუსხელიშვილის ღვაწლი.

ბატონი ნიკო გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი გარდაცვალებამდე.

მეცნიერს სიცოცხლეშივე ერგო განსაკუთრებული პატივი და აღიარება არა მარტო საქართველოში და ყოფილ საბჭოეთში, არამედ მსოფლიოში, ეს კი მისი კვლევების ღირებულებისა და რაღა თქმა უნდა, ნიჭისა და უნარის წყალობით იყო განპირობებული.

უდიდეს პატივს სცემდა ბატონ ნიკოს საქართველოს პარტიული ლიდერი, საოცრად ეროვნული კაცი ვასილ მჟავანაძე.

_ ერთხელ, თურმე მოსკოვში, საკავშირო უმაღლესი საბჭოს სესია ტარდებოდა, ბატონი მჟავანაძე, როგორც საქართველოს ლიდერი, სხვა ქართველ დეპუტატებთან ერთად გაფრენილა მოსკოვში. ბატონი ნიკო კი მატარებლით გამგზავრებულა. ბატონი მჟავანაძე და მისი თანმხლებნი დიდი სიყვარულითა და პატივით დახვედრიან მოსკოვში ვაგზალზე ნიკო მუსხელიშვილს, რაც მეცნიერისადმი საქართველოს ლიდერის დიდ პატივისცემაზე მიუთითებს.

წიგნში “ასეთი იყო ჩემი საქართველო”, რომელიც ვასილ მჟავანაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, ამ ფაქტის აღწერას ერთი ფოტოც ახლავს, სადაც ვასილ მჟავანაძე და როდიონოვი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ხვდებიან ხელგაშლილნი მეცნიერს, რომელიც ერთობ განცვიფრებული და გახარებულია ესოდენი პატივით.

განუსაზღვრელია ქართული მათემატიკური მეცნიერების განვითარების საქმეში ბატონი მუსხელიშვილის ღვაწლი. იგი არჩეული იყო არამარტო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის, არამედ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრად.

ურიგო და უადგილო არ უნდა იყოს მკითხველს აღიარებულ მეცნიერთან დაკავშირებული ერთი ლირიკული ამბავი, ფაქტი მოვაგონოთ:

დღედაღამ შრომობდა, ეძიებდა მეცნიერი, რამაც მის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით ხანდაზმულობისას გავლენა იქონია. პროფესორებმა ურჩიეს თურმე, რომ კვირაში ერთხელ საქონლის ტვინი ეჭამა 300-400 გრამი მაინც. მეცნიერის მეუღლე მოელაპარაკა მეყასბეს, რომ ყოველ კვირა დღეს საქონლის ახალი ტვინი დაეხვედრებიათ მისთვის. ერთ-ერთი მისვლისას კი მეყასბეს მეცნიერის მეუღლისათვის გულუბრყვილოდ უკითხავს _ ვინა გყავს ქალბატონო სახლში ასეთი უტვინო საქონლის ტვინს რომ აჭმევო. როგორი “უტვინო” ბრძანდებოდა მეცნიერი, საყოველთაოდაა ცნობილი.

1976 წელს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი ნიკო მუსხელიშვილი.

ამ დღეებში 125 წელი სრულდება მეცნიერის დაბადებიდან.

ნანა ჭანტურიას გახსენება

ქართული სიტყვის ოსტატობას, სიტყვის მადლის შეგრძნებას თაობები აზიარეთ, თქვენი დაუშრეტელი ენერგიის და ნიჭიერების წყალობით თქვენს მოსწავლეებს ულამაზესი ფერებით მოუხატეთ სამყარო, ახლა ჩვენ მწუხარე ფერებს და სიტყვებს ვეძებთ თქვენს კეთილ სულზე წარსულ დროში სალაპარაკოდ!

40 დღეა, რაც ამქვეყნიური საქართველოს ბინადარი აღარ გქვიათ, ნანა მასწავლებელო. თქვენ უნიკალური ქალბატონი იყავით, განგებისაგან უხვად დასაჩუქრებული უზადო სილამაზით, ქალური ხიბლით და ნიჭიერებით. იდეალური დედა, მეუღლე, გამორჩეული პედაგოგი, ადამიანი _ პოზიტივი! ასე გაგიხსენებთ ყველა ვისაც კი თქვენთან ჰქონია ურთიერთობა. თქვენი მოსწავლეები, მშობლიური სკოლა და კოლეგა-პედაგოგები ყოველთვის თბილად მოიგონებენ თქვენს სახელს. ძალიან ჩუმად და წყნარად წახვედით ამ ქვეყნიდან ბობოქარი ენერგიისა და კაცთმოყვარეობის გრძნობის მქონე ქალბატონი, გაწყდა თქვენი ცხოვრების ლამაზი სერპანტინიც... ნათელი დაგიმკვიდროთ უფალმა!

სიყვარულით დაბლა გიძის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი

პაატა რურუა ოჯახით თანაუგრძნობს ელენე და ჯემალ ბოხუებს დედისა და მეუღლის

დოდო რურუას

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს მზია ჩიხლაძეს

დოდო რურუას

გარდაცვალების გამო

ვულოცავთ!

მიხეილ ქანთარიას!

26 თებერვალს სენსეი მიხეილ ქანთარია იუბილარია. მასზე, როგორც ადამიანზე, სპორტსმენსა და მწვრთნელზე ბევრი კარგი რამ შეიძლება ითქვას. პროფესიით ინჟინერ-მშენებელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კიოკუშინკაი კარატეს განვითარებას მოახმარა. პირველი კლუბი მან შექმნა სამტრედიში, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. საამაყოა, რომ 2007 წელს მისი თაოსნობით ჩვენი კლუბი გახდა "კარატეს საერთაშორისო ორგანიზაცია _ სრულიად იაპონიის კიოკუშინკაი კავშირის" წევრი, თვითონ სენსეი კი, საქართველოს წარმომადგენელია საერთაშორისო ორგანიზაციაში. მის მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს ის, რომ შავი ქამრის მეოთხე დანის მატერებელია. მისი აღზრდილები კი, წარმატებებს აღწევენ საქართველოსა თუ საერთაშორისო ასპარეზობებზე, კავკასიის ჩემპიონატებში. მას იცნობენ და პატივს სცემენ კარატეს სამშობლოში, იაპონიაში. ბატონი მიხეილი მსოფლიო ჩემპიონატში, როგორც მსაჯი სამჯერ იქნა მიწვეული, ხოლო შვიდჯერ იმსაჯა ევროპის ჩემპიონატებზე.

სენსეი მიხეილი კარატესთან ერთად ადამიანობის საუკეთესო მაგალითებს გვაძლევს მოსწავლეებს, მისი შესაშური, დაუღალავი ბუნება, მუდმივი სპორტული აქტიურობა თითოეული ჩვენგანისთვის მისაბაძია. ჩვენ გვწამს მისი და გვეიმედება. ხანგრძლივ სიცოცხლეს და ოჯახურ კეთილდღეობას ვუსურვებთ ჩვენს სენსეის,. წარმატებებითა და ბედნიერებით სავსე ყოფილიყოს მთელი მისი ცხოვრება!

სამტრედიელი კარატისტები

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ბატონ მიხეილ ქანთარიას. ოჯახურ ბედნიერებასა და პროფესიულ წარმატებებს უსურვებს მას!

ვულოცავთ!

ქალბატონ ლიზა კრავეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, იდღეგრძელეთ, წარმატებებს გისურვებთ, უფალმა გაგაძლიეროთ.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს ქალბატონ ლიზა კრავეიშვილს. ვუსურვებთ ბედნიერებას და შემდგომ წარმატებებს.

"სამტრედიის მაცნე"

სიცილი სრულფასოვან ვარჯიშს უტოლდება

სიცილით იმდენივე კალორიის დაწვაა შესაძლებელი, რამდენიც სწრაფი სიხარულისას. შეკავებული სიცილიც კი კუნთებს საკმარისად ტვირთავს, საათში იწვება დაახლოებით 10 კალორია.

შეუკავებელი, ისტერიული სიცილი საათში 120 კალორიას წვავს. იგივე ხდება ზომიერი ტემპით სიარულის დროს. ჩვეულებრივ, ნამდვილი გულიანი სიცილი, საათში 100 კალორიას წვავს, ხოლო ხითხითი 20 კალორიამდე.

ზოგადად, სიცილს ტონუსში მოჰყავს პრესის კუნთები. კერძოდ, მუცლის შიგნითა ირიბი კუნთი სიცილის დროს უფრო აქტიურდება, ვიდრე პრესის ვარჯიშის დროს. სიცილი იწვევს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას.

თუმცა, სპორტდარბაზში სიარულს, კომედიის ნახვა ვერ ჩაანაცვლებს.

ეკა სანიკიძეს!

ჩვენო ეკა! კარგ დედას, მეუღლეს, ღირსეულ ქალბატონს დაბადების დღეს გილოცავთ, განგებამ სიკეთე, სიუხვე, სილამაზე, არ მოაკლოს შენს ლამაზ ოჯახს, ბედნიერება და ღვთის წყალობა, სიკეთე და ოცნებების აფერადება მოგიტანოს შენი ცხოვრების კიდევ ბევრმა ლამაზმა თებერვალმა.

"სამტრედიის მაცნე"

რატომ არ შეიძლება დიდი ზომის ბოკლით ალკოჰოლის დალევა

ფსიქოლოგები გვირჩევენ არ დავლიოთ ალკოჰოლური სასმელი დიდი ზომის ბოკლით. კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოარკვიეს, რაზეა დამოკიდებული მიღებული ღვინისა და შამპანურის მოცულობა. როგორც აღმოჩნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბოკალი. რაც უფრო დიდია სასმისი, მით მეტია სპირტიანი სასმელის უზომო მოხმარების რისკი.

დიდი ბოკალი ქმნის არასრულად შევსებულის შთაბეჭდილებას, რაც ადამიანს კონტროლის დაკარგვის შიშის გარეშე, სასმელის დამატებისკენ უბიძგებს.

ანალოგიური სქემა მოქმედებს საჭმელთან დაკავშირებითაც. დიდი თეფში ადამიანს ნაყროვანებისკენ უბიძგებს. საკვების მცირე ულუფით სრულად შევსებული პატარა თეფში, დანაყრების ალბათობას ზრდის.

რამდენიმე რჩევა, რომელიც სამზარეულოში გამოგადგებათ

ხარშვისას ბრინჯს დაამატეთ ერთი კოვზი ძმარი, ის ქათქათა და ფანტია გახდება.

თუ არაჟანს ცოტაოდენ რძეს შეურევთ წამოდულებისას, სოუსში აღარ აიჭრება.

მოშუშვისას კომბოსტო რომ არ გაყვავისფრდეს, დაჭრილს ჯერ მდუღარე გადაავლეთ, შემდეგ ყინულოვანი ცივი წყალი. კარგად გაწურეთ და მოშუშეთ.

ხარშვის ბოლოს ყავას მარილის ორიოდე კრისტალი დაამატეთ და განსაკუთრებულ გემოს შეიძენს.

თეთრი ღვინის შეცვლა კერძში შეგიძლიათ ცოტაოდენ ძმარში გახსნილი 2 ნატეხი შაქრით.

მაიონეზის შეცვლა სალათებში შეგიძლიათ არაჟნით, რომელშიც წინასწარ გაქნით მოხარშულ კვერცხის გულს და ერთ კოვზ მდოგვს.

კისელის მომზადებისას კენკრის არომატი და ფერი რომ შეინარჩუნოთ, ჯერ მისგან წვენი გამოწურეთ, მოხარშეთ გამოწურული ხილი შაქართან და სახამებელთან ერთად და ბოლოს ცეცხლის გარეთ დაამატეთ წვენი.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე

გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპაკა